საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 195 (723) შაბათი, 7 სექტემბერი, 1993 წელი ფასი 25 კუპონი.

პირველი სვეტი

რუსეთის ფედერაციის დელეგაცია თბილისში

თბილისში ჩამოვიდა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს საგანგებო დავალებათა ელჩი ფელიქს კოვალიოვი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან დიპლომატები, ეკონომისტები, სამხედრო ექსპერტები. დელეგაცია მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ.

იმავე დღეს გაიმართა ბრიფინგი ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

7 სექტემბერს, დილით, დაიწყება საქართველო-რუსეთის მოლაპარაკების დამამთავრებელი ფაზის მეხუთე რაუნდი. მხარეები იმუშავებენ მრავალი ხელშეკრულების, პაქტის შეჯერებაზე, რის შედეგადაც მომზადდება ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი.

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დელეგაციის სამუშაო ვიზიტი ორ კვირას გასტანს.

●

საუბარი გაეროს წარმომადგენლებთან

საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურის პირადმა და სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა კონფლიქტების მოგვარების საქმეში, ბატონმა სანდრო კავსაძემ მიიღო გაეროს ლტოლვილთა საკითხების უმაღლესი კომისიის წარმომადგენელთა ჯგუფი ბატონ თასლიმ რაჰმანის ხელმძღვანელობით. შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში კონფლიქტების ზონიდან ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა თავიანთ ძირითად საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების პრობლემები. ბატონმა თასლიმ რაჰმანმა ბატონ სანდრო კავსაძის კონსულტაციების სახით მიაწოდა კონსტრუქციული წინადადებები, რაც საქართველოს ხელმძღვანელობას დაეხმარება ამ მეტად მტკივნეული საკითხის გადაჭრისას ქმედითი ღონისძიებების გასატარებლად. 7 სექტემბერს გაეროს წარმომადგენლები გაემგზავრებიან ქუთაისში, სადაც შეხვდებიან იქ განთავსებულ ლტოლვილებს. დაგეგმილია აგრეთვე დელეგაციის ჩასვლა სოხუმსა და გუდაუთაში.

შეხვედრას ესწრებოდა გაეროს მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში ბატონი თეოდორ სტარიჩენკო.

●

აფხაზეთის მხარე არ გამოცხადდა

როგორც აფხაზეთში დისლოცირებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრი იუწყება, 5 სექტემბერს სამი მხარის სამუშაო ჯგუფების გაერთიანებული სხდომა არ გამართულა: შეხვედრაზე არ გამოცხადდნენ აფხაზეთის მხარის წარმომადგენლები.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

ედუარდ შევარდნაძე: ჩვენ ერთი ერის შვილები ვართ, ერთი სახელმწიფო ვართ და შეუძლებელია ქართველებმა საერთო ენა ვერ გამოვნახოთ!

— შევძლებთ თუ არა სამოქალაქო ომის თავიდან აცილებას? კომენტატორ ნატო ონიანის ამ შეკითხვით დაიწყო 6 სექტემბრის რადიოინტერვიუ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ.

— ასეთი რეალური საფრთხე, სამწუხაროდ, არსებობს. ეს სამოქალაქო ომის გაჩაღების ყველაზე უფრო მწვავე და ყველაზე უფრო რეალური საშიშროებაა. მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ გამოსავალი არ არსებობდეს. გამოსავალი არის: ყველამ უნდა ვეძებოთ ყოველგვარი გზები, საშუალებები. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ერთი ერის შვილები ვართ, ერთი სახელმწიფო ვართ. და შეუძლებელია ქართველებმა საერთო ენა ვერ გამოვნახოთ. ხანდახან საშინელი ფიქრები მეუფლება ადამიანს იმ ფონზე, რაც ახლა ჩვენში ხდება. ნუთუ ჩვენი დამახასიათებელი თვისება გახდა ერთმანეთის მტრობა და დაპირისპირება? როცა მიჩუმდა ქვემეხების გუგუნი აფხაზეთში, დაიწყო და გაჩნდა რეალური პერსპექტივა, რომ შეწყდეს არა მარტო ომი, არამედ აფხაზეთის საკითხიც გადაწყდეს ისე, როგორც ეს საქართველოს ინტერესებს, ქართველებისა და აფხაზების, ყველა ხალხის ინტერესებს შეესაბამება, გაჩნდა ახალი კერა, კიდევ უფრო საშიში და კიდევ უფრო ფეთქებადი.

ამიტომ, რა თქმა უნდა, ყველა ქართველი დღეს ბევრს ფიქრობს, ძირითადად ამ მოვლენის ირგვლივ ტრიალებს ჩვენი ფიქრი და აზრი. მაინც მგონია, გამოსავალს იმ შემთხვევაში ვიპოვით, თუ განვთავისუფლდებით პოლიტიკური ამბიციებისგან. ეს საშინელი სენია, რომელიც ახლა, როგორც ინფექცია და ეპიდემია, მოედო ძალიან ბევრ პოლიტიკოსს. ამ ამბიციებმა შეიძლება დაგვღუპოს, სწორედ ამ ამბიციებმა შეიძლება ჩაითრიოს ჩვენი ხალხი და საქართველო სამოქალაქო ომში. შეიარაღებულ ფორმირებებთან ლაპარაკი და საერთო ენის გამონახვა შეიძლება. ბევრ საინტერესო საკითხზე შეთანხმდნენ სამხედროები, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი ვიღაცის ბრძანებებს ასრულებენ და ეს ბრძანება, სამწუხაროდ, პოლიტიკოსებისგან მოდის, სად არიან ეს პოლიტიკოსები, საქართველოში? ზოგი აქ არის, ზოგი — სხვაგან. პოლიტიკურ ამბიციებზე რომ ვლაპარაკობ, ეს მხოლოდ პირადი ინტერესებია და არა საქართველოსი.

საქართველოს ინტერესებზე ლაპარაკი მხოლოდ სიტყვებია, ლაპარაკი საქართველოს ერთიანობაზე ბევრი პოლიტიკოსისთვის მხოლოდ პირადი კარიერისათვის გზის გაკაფვის საშუალებაა. ჩემი აზრით, ყველამ უნდა ავიმაღლოთ ხმა იმის წინააღმდეგ, რომ ამ პოლიტიკანობამ არ დაღუპოს საქართველო. ამასთან, პირველი, რაც პირადად ჩემთვის და ჩემი კოლეგებისათვის აუცილებელ ამოცანად მესახება, ის არის, რომ უფრო ინტენსიურად უნდა გავაგრძელოთ მოლაპარაკება, შერიგების პროცესი. თუმცა, თითქოს, არაფერი დაგვიკლია, მაგრამ, ვფიქრობ, რომ აქ რეზერვები კიდევ არსებობს. იმაზეც უნდა ვიფიქროთ, რომ აღდგეს წესრიგი, ერთიანი საქართველო მარტო რუკაზე ხომ არ უნდა დარჩეს. ერთიანი საქართველო რეალურია ერთიანი ეკონომიკით, ერთიანი პოლიტიკით, ერთიანი სახელმწიფოებრივი სტრუქტურებით, ინსტიტუტებით. ერთიანი ტერიტორიის გაკონტროლების უფლებით, საშუალებით, რეალური საკონტროლო ბერკეტებით და ა. შ.

ასე ეს უნდა აღდგეს ყოველ მიზეზს გარეშე, ყოველგვარი გზებითა და საშუალებებით, იქნება ეს პოლიტიკური თუ სხვა. მე არ ვეკუთვნი იმათ რიცხვს, ვინც მხოლოდ შავ ფერებში ხატავს დღევანდელობასა და მომავალს. მაგრამ დღეს ძალიან დიდი უბედურების მომასწავებელი მოვლენების წინაშე ვდგავართ. წინა გამოსვლებში ვილაპარაკე და კვლავ მინდა გავიმეორო, რომ ყოველგვარ შუამავლობას, ყოველგვარ ღონისძიებებს, ვისგანაც უნდა მოდიოდეს იგი, მივესალმები. მე, კერძოდ, ბატონი ასლან აბაშიძე დავასახელე. მივესალმები სხვებსაც, ვინც უნდა იყოს და რომელი კუთხიდანაც, თუ გნებავთ, უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, თუმცა ქართველებს ეს არ უნდა გვჭირდებოდეს, ჩვენ უნდა შევძლოთ ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვა. მე მაინც მინდა დავიჯერო, რომ ჩვენ მივალთ აქამდე.

კითხვაზე, თუ როგორ აფასებს იგი აჭარაში შექმნილ სიტუაციას, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თქვა: პრობლემები, ისევე როგორც სხვა რეგიონებს, აჭარასაც ბევრი აქვს, მაგრამ აჭარის მოსახლეობამ და, უწინარესად მისმა ხელმძღვანელმა, შეინარჩუნეს მშვიდობა, სტაბილურობა და აჭარის ფაქტორი დღეს, როგორც საქართველოს სტაბილური რეგიონისა, ძალიან მნიშვნელოვანია საერთოდ საქართველოსათვის. ეს სტიმულს აძლევს საერთო-საყოველთაო მოძრაობას წესრიგისათვის, სტაბილურობისა და მშვიდობისათვის საქართველოში. მე არაერთხელ გამომითქვამს ჩემი დამოკიდებულება და გრძნობები ამ კუთხისადმი. ეს საქართველოს უნიკალური მხარეა და შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ იქიდან ისმის მოწოდება ერთიანობისა და საქართველოს გამთლიანებისათვის, და ეს არის არა მარტო მოწოდება, არამედ რეალური ზრუნვა და მოქმედება.

არ შემიძლია არ ვთქვა ისიც, რომ ზოგს აწუხებს ყოველივე ზემოთქმული, ისიც აღელვებს, რომ აჭარაში სტაბილურობაა. დღეს უკვე ბევრი ფაქტია ჩემთვის ცნობილი — წინანდელიც და ახლანდელიც, განსაკუთრებით წინანდელი, როცა ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ აჭარაში შეეყვანათ დესტრუქციული ძალები, გამოეწვიათ რაღაც ახალი ტალღა, რათა იქაც დაწყებულიყო არეულობა. არის ამის კონკრეტული ფაქტები და ეს საკმაოდ მაღალ სფეროებთან იყო დაკავშირებული. ეს უნდა გამოირიცხოს, ბოლო უნდა მოეღოს საქართველოში ისეთ დამოკიდებულებას, როცა ადამიანები ისევ და ისევ თავიანთი პირადი ამბიციებისა და ინტერესების განსახორციელებლად მზად არიან ყველაფერი იღონონ, რათა რომელიმე კუთხეში გართულდეს სიტუაცია. აჭარის მთელ მოსახლეობას და მის ხელმძღვანელობას, მის ლიდერს მინდა ერთხელ კიდევ მადლობა ვუთხრა იმისათვის, რომ მათ ეს სიმშვიდე, სტაბილურობა და ნორმალური ცხოვრებისა და მუშაობის პირობები შეინარჩუნეს.

პაველ გრაჩოვის საქართველოში ვიზიტის გამო სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ ეს ვიზიტი ამჟამად არ უკავშირდება აფხაზეთში ან სხვა რეგიონში, მით უმეტეს, სამეგრელოს რეგიონში მიმდინარე პროცესებს.

— ეს უფრო ფართო მასშტაბის აქცია იყო. მოლაპარაკება, რომელიც მქონდა რუსეთის თავდაცვის მინისტრთან, ძირითადად ეხებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებს, მათ შორის, ბუნებრივია, რუსეთის შეიარაღებული ძალების ბედს საქართველოში, მათი აქ ყოფნის ვადებს, სტატუსს, შესაბამის პირობებს. საქართველოსა და რუსეთის საზღვრების პრობლემას და სხვა მრავალს. არაფერი უცნაური არ უნდა იყოს იმაში, რომ სწორედ თავდაცვის მინისტრი ჩამოვიდა ამ საკითხების გასარკვევად. უშუალოდ მასთან, მის უწყებასთან, სამინისტროსთან არის ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებული ყველა ეს საკითხი. არსებობს მეორე ფაქტორიც: ახლა ბატონ გრაჩოვის როლი საკმაოდ აქტიურია, იგი ბევრს მოგზაურობს, ჩვენგან ცენტრალურ აზიაში წავიდა და სხვა შეხვედრებიც ექნება. ეს არც არის გასაკვირი, რადგან შეიარაღებული ძალების პრობლემა ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემათაგანია, რა თქმა უნდა, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებთან ერთად, ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე ცვლილებები და სტაბილურობა, რომელთა შესახებაც ვლაპარაკობთ, დღეს დამოუკიდებელ სახელმწიფოებში მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე პროცესებთან. ამ ფონზე სავსებით კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ თავდაცვის მინისტრის თუნდაც პოლიტიკური აქტიურობა. ჩვენი საუბრის შემდეგ მე იმედი არ მეპარება, რომ მისი აქტიურობა არ უკავშირდება ძველი ტოტალიტარული რეჟიმის აღდგენის მცდელობას. ჩემზე მან საკმაოდ გულახდილი და გულწრფელი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა, ადამიანის, რომელიც ლაპარაკობს იმას, რასაც ფიქრობს. ჩვენი საუბრისას მან ერთმნიშვნელოვნად ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია რუსეთში დემოკრატიული პროცესების განვითარების სასარგებლოდ. ამიტომაც, მგონია, ასეთ რთულ ეტაპზე, რომელზეც ახლა რუსეთი იმყოფება, შეიარაღებულ ძალებს და მის ხელმძღვანელს საკვანძო როლის შესრულება შეუძლიათ.

6 სექტემბრის რადიოინტერვიუ

მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თქვა: ყველაფერი პარლამენტზე იქნება დამოკიდებული. იქნება შეხვედრები, გაიმართება პარლამენტის სხდომა და იმედი მაქვს, რომ დამთავრდება დებატები სტრუქტურების გამო და მივიღებთ გადაწყვეტილებას.

პრესაში გამოქვეყნებული „ხანდი ტაიმსიდან" გადმობეჭდილი ინფორმაციის გამო, სადაც ლაპარაკია რუსეთის გარკვეული სამსახურების დესტრუქციულ მოღვაწეობაზე საქართველოში, სახელმწიფოს მეთაურმა თქვა: ვერ ვიტყვით, რომ ამ ინფორმაციაში ყველაფერი სწორია. შეიძლება ცალკეული ფრაზები რეალური მოვლენების ანარეკლი იყოს, მაგრამ რაც შეეხება რუსეთის ხელისუფლების დესტრუქციულ როლს, არა მგონია, რომ ეს სინამდვილეს შეესაბამებოდეს. ცნობილია, რომ რუსეთში საკმაოდ მძლავრი პოლიტიკური ძალები და არა მარტო ეს ძალები, პრობლემას წარმოადგენენ თვითონ რუსეთის პრეზიდენტისათვის, რუსეთის დემოკრატიისათვის, რუსეთის სახელმწიფოებისათვის. ამიტომ ძალიან არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ეს ძალები რაღაც დესტრუქციულ როლს საქართველოს მიმართაც ასრულებდნენ, ან ახლაც ასრულებენ, თუმცა, დღეს ფაქტებზე ლაპარაკი არ შემიძლია. იმპერიის დანგრევის შემდეგ ახალ ურთიერთობათა ჩამოყალიბება იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც მაშინდელი კავშირის და იმ ტოტალური სისტემის შემადგენლობაში შედიოდნენ, ურთულესი პროცესია. თუნდაც ის, რაც ახლა რუსეთსა და უკრაინას შორის მოხდა, ძალიან დიდი კომპრომისია, რომელიც შეიძლება გაუმართლებლად მოგვეჩვენოს. მე კარგად ვიცნობ უკრაინის პრეზიდენტს და არა მგონია, ერთი ხელის დაკვრით მისულიყო ასეთ გადაწყვეტილებამდე. იგი, ისევე როგორც ძალები, რომლებიც მას მხარს უჭერენ, დარწმუნდნენ, რომ ახლა რუსეთისა და უკრაინის დამოკიდებულების შენარჩუნება უფრო მნიშვნელოვანი ამოცანაა იმავე უკრაინის თავისუფლების, დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, დემოკრატიული განვითარების გზის შენარჩუნებისათვის, ვიდრე ის ლოკალური საკითხი, რომლის გამოც მან ასეთი კომპრომისული ნაბიჯი გადადგა. ძალიან ძნელი ნაბიჯია, მაგრამ არჩევანი ასეთი იყო: ან საერთო ხსნა იმ მთავარი მონაპოვრისა, რომელსაც თავისუფლება და დამოუკიდებლობა ჰქვია, ანდა — კომპრომისი ამ ეტაპზე. პოლიტიკაში ასეთი რამ ხდება. და ამიტომ არც უნდა გაგვიკვირდეს. ეს არც იმითაა განპირობებული, რომ რუსეთს ასე ნებავს. რუსეთიც ძალიან ბევრ კომპრომისზე მიდის და კიდევაც წავა მომავალში ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთაც. ჩემი აზრით, როგორმე ნერვებმა არ უნდა გვიღალატოს მაშინ, როცა ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ სახელმწიფოებს შორის ახალ ურთიერთობათა აშენებაზე ვლაპარაკობთ. უნდა შევეცადოთ, რომ ყველაფერი ცივი გონებით შევაფასოთ.

მე ვოცნებობ, რომ საქართველო მიუახლოვდეს პოლიტიკური კულტურისა და აზროვნების ისეთ დონეს, როგორიც ლიტვაშია, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა, როცა კომენტატორმა მას ლიტვის ამბები შეახსენა. — მე ვიცნობ ბატონ ლანდსბერგისს, დიდი ხანია ვიცნობ ბატონ ბრაზაუსკასს, და ვიცი, როგორ მიმდინარეობდა ამ ქვეყანაში პოლიტიკური ბრძოლა. ეს იყო ჩვეულებრივი სტანდარტების, ნორმებისა და წესების გათვალისწინებითა და დაცვით, რომლებიც დემოკრატიის გზით მიმავალ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში უნდა იყოს, ჩვენ კი, ამ მხრივაც, ძალიან ჩამოვრჩით. ჩვენთან ასეთი განწყობაა: პოლიტიკოსობა მემკვიდრეობაა და ძნელად წარმოუდგენია კაცს, რომ წავიდეს თანამდებობიდან, პოლიტიკიდან და იცხოვროს ჩვეულებრივი ცხოვრებით და არ ფიქრობდეს ახალ შეთქმულებებსა და გადატრიალებებზე. ალბათ, ესეც მოსახდელი ჭირია და ეს ეტაპიც უნდა გავიაროთ. ჩვენ მაღალგანვითარებული და მაღალკულტურული ერი ვართ, მაგრამ პოლიტიკაში ხანდახან დიდ უმეცრებასა და სიბნელეს ვავლენთ. ის, რაც ლიტვაში მოხდა — ერთი ძალის მშვიდობიანი წასვლა და მეორე ძალის მშვიდობიანად მოსვლა, ჩვეულებრივი მოვლენაა. ასეა ყველა ქვეყანაში. ჩვენთან არა: გინდა თუ არა, თუ კაცი ერთხელ მოხვდა თანამდებობაზე და ამბიციები გაუჩნდა, მერე მას მიაჩნია, რომ იგი სამშვილიშვილოდ უნდა დარჩეს. არ შეიძლება ცალკეულ მოღვაწეთა ამბიციების მსხვერპლად ვაქციოთ ქვეყნის ინტერესები. ვერავითარ დემოკრატიას ვერ ავაშენებთ, თუ ამას არ შევიგნებთ. ჩვეულებრივად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ არის დღეს შევარდნაძე და ხვალ იგი უნდა წავიდეს, მოჰკიდოს ხელი იმას, რაც მას უფრო ეხერხება, ვიდრე პოლიტიკა. ეს ყოფილსაც ეხება, დღევანდელსაც და მომავალსაც, ყველამ უნდა გაიაზროს ეს და შეისწავლოს განვითარებულ ქვეყნებში არსებული პრაქტიკა. ამერიკის შეერთებული შტატების რომელი გადარჩეული, წასული პრეზიდენტი გვინახავს, რომ მან შემდეგ დაიწყოს მოძრაობა ხელისუფლების დასაბრუნებლად.

თანამდებობისადმი ლტოლვა არა მარტო პოლიტიკურ ამბიციებთან არის დაკავშირებული, არამედ გარკვეულ კეთილდღეობასთანაც, იმის მოპოვებასთან, რაც მას არ ეკუთვნის. ესეც საგულისხმოა და ეს ეტაპიც გასავლელია. ამიტომ ხალხის მოთხოვნა, რომ ცოტა მეტი სიმკაცრე საჭიროა, არა მარტო მეტი დემოკრატია, არამედ მეტი წესრიგიც, სავსებით სწორია.

რაც შეეხება საპარლამენტო უმრავლესობის შექმნას, პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა: ამასთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია გარკვეულია. მაგრამ ვერავითარი საპარლამენტო უმრავლესობა ვერ იარსებებს და მყარი ვერ იქნება, თუ საზოგადოებაში არ არის ის ძალა, რომელმაც უნდა განსაზღვროს სახელმწიფოსა და ქვეყნის განვითარების კურსი სხვადასხვა ეტაპზე. ამიტომ მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ ვიფიქროთ, და არა მარტო ვიფიქროთ, გადავდგათ ნაბიჯები პარტიის შესაქმნელად. ნურავის ნუ ელანდება, რომ ეს კომუნისტურის და ბოლშევიკურის მსგავსი რამ იქნება. ეს იქნება პარტია, რომელიც უნდა იყოს დაწყებული პროცესების შეუქცევადობის გარანტია, ეს იქნება ეკონომიკური, კულტურული, მეცნიერული პროგრესის, საქართველოს ერთიანობისა და მთლიანობისთვის მებრძოლი, ეკონომიკურ გარდაქმნათა პარტია. მე ამასაც ვიტყოდი: ეს იქნება ახალგაზრდობის პარტია, რომელიც უნდა იყოს განმსაზღვრელი, ტონის მიმცემი ამ პოლიტიკურ წარმონაქმნში. ეს იქნება ჭეშმარიტი ბიზნესმენების პარტია და პირველი რეაქცია უკვე ვიცი: ახალი ფენა, რომელიც გამოდის ასპარეზზე, მიესალმება ამ იდეას და ამით იგი უწინარესად მიესალმება წესრიგს, რადგან ბიზნესი ვერ განვითარდება, თუ ქვეყანაში არ იქნება სტაბილურობა და წესრიგი. ამ საკითხზე ვფიქრობთ და მგონია მოვძებნით ისეთ მოდელს, რომელიც მისაღები იქნება ჩვენი ხალხისა და ჩვენი ქვეყნისთვის. უნდა ვიაროთ ნაბიჯ-ნაბიჯ წინ, დემოკრატიული მძლავრი სახელმწიფოს შექმნის გზაზე.

რა ერქმევა ახალ პარტიას? ჯერ არ გადაგვიწყვეტია. არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება სახელწოდება დამფუძნებელ კრებაზე, კონფერენციაზე ან ყრილობაზე განისაზღვროს, ისევე როგორც მისი მუშაობის ძირითადი მიმართულებები. ეს იქნება დასავლური ტიპის დემოკრატიული პარტია გარკვეული წესრიგით, ორგანიზაციით, სტრუქტურებით.

მინდა მივმართო საქართველოს მოქალაქეებს, იფიქრონ არის თუ არა საჭირო ასეთი პოლიტიკური ძალა და ვისაც ეს პრობლემები აწუხებს, ყველას შეუძლია დაიკავოს ადგილი ამ მოძრაობაში.

მინდა მადლობა ვუთხრა ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების მონაწილეობით დაწყებულ მოძრაობას „ერთობა და აღორძინება", რომელიც ამ პარტიის შექმნის საფუძველი უნდა გახდეს.

პარლამენტის ვადამდე არჩევნების შესახებ სახელმწიფოს მეთაურმა ბრძანა:

— საჭიროა ვიფიქროთ ამ საკითხზე. ამასთან ერთად დღის წესრიგში დგას კონსტიტუციის მიღება, მიმდინარეობს მასზე ინტენსიური მუშაობა. კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც პარლამენტი მოიწონებს, გამოქვეყნდება, შემდეგ მოეწყობა სახალხო რეფერენდუმი. ვფიქრობ, რომ ეს გზა საკმაოდ საიმედოა. თუ კონსტიტუციაზე მუშაობის პროცესი დაჩქარდება, არც არჩევნები იქნება ცხრა მთას იქით. გარკვეული აზრით მე ვეთანხმები ბატონ ნოდარ ნათაძესა და სხვებსაც, რომლებიც არჩევნების საკითხს აყენებენ. ამაზე სერიოზულად უნდა ვიფიქროთ.

სიმართლის დადგენის მოლოდინში

ნოდარ ახალკაცი და მერაბ ჟორდანია უეფა-ს გადაწყვეტილებისა და თბილისელთა განზრახვის შესახებ

როგორც ცნობილია, უეფა-ს საკონტროლო-დისციპლინარულმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებიდან თბილისის „დინამოს" გარიცხვისა და მომდევნო სეზონში დინამოელთა დისკვალიფიკაციის შესახებ, თუკი კლუბი მოიპოვებს ევროპის ტურნირებზე გამოსვლის უფლებას. უეფა-ს გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ იგი მიიღეს „თბილისის „დინამოსა" და ბელფასტის „ლინფილდის" მატჩის თურქი არბიტრების მოსყიდვის მცდელობის გამო".

ცნობამ უეფა-ს გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც მსოფლიოს ყველა საინფორმაციო სამსახურმა გადასცა, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით იმოქმედა მთელ საქართველოში, რომლის მცხოვრებლებისთვისაც ფეხბურთი არა მარტო სპორტის უპირველესი სახეობა, არამედ ეროვნული ღირსების საქმეც არის.

კვირას, ადრე დილით, შვეიცარიიდან, სადაც გაიმართა უეფა-ს კომიტეტის სხდომა, თბილისში დაბრუნდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და თბილისის „დინამოს" კლუბის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია.

იმავე დღეს დილით სპორტულ ბაზაში ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში მათ განაცხადეს, რომ უეფა-ს საკონტროლო-დისციპლინარული კომიტეტის ეს გადაწყვეტილება ტენდენციური ხასიათისაა, არის დისკრიმინაციული არა მარტო თბილისის „დინამოს", არამედ მთელი ქართული ფეხბურთისა და ქართველი ხალხის მიმართ.

ახალკაცმა და ჟორდანიამ აღნიშნეს, რომ არავის უცდია მოესყიდა „დინამო" — „ლინფილდის" მატჩის არბიტრები, მსაჯებისათვის დახმარებაც არავის არ უთხოვია. ითქვა ისიც, რომ პირველ მატჩამდე ერთი კვირით ადრე — 10 აგვისტოს — თბილისში მიიღეს ფაქსი უეფა-დან, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ თურქი მსაჯებისათვის უნდა გადაგვეხადა ოთხი დღის სადღეღამისო ხარჯები, თუმცა, გადასახდელი თანხის ოდენობაზე არსად არაფერი იყო ნათქვამი.

ამ ფაქსს თბილისში გაეცნენ არბიტრები და უეფა-ს ოფიციალური დელეგატი და, აქედან გამომდინარე, არბიტრებს ფირმა „ბანი და კომპანიის" ნიშნიანი კონვერტით გადაეცეს სადღეღამისო თანხა — მთავარ მსაჯს — 2 ათასი დოლარი, გვერდით მსაჯებსა და სათადარიგო არბიტრს — ათას-ათასი დოლარი.

არავის მიუმართავს მათთვის წინადადებით გაეწიათ დახმარება თბილისელი ფეხბურთელებისათვის, მსაჯებს განუმარტეს, რომ გადასცემენ ოთხი დღის სამივლინებო თანხებს უეფას დოკუმენტის შესაბამისად.

მერაბ ჟორდანიამ უჩვენა ჟურნალისტებს უეფა-დან მიღებული ეს ფაქსი. უეფა-ს წარმომადგენლებმა და თვით უეფა-ს გენერალურმა მდივანმა ბატონმა აიგნერმა დაადასტურეს, რომ ზემოთაღნიშნული ფაქსი მართლაც გაგზავნა უეფა-დან ამ ორგანიზაციის პასუხისმგებელმა მუშაკმა ბატონმა ნეილ ლივინგსტონმა. თურმე, აიგნერს ისიც უთქვამს, რომ „თბილისში ასეთი ფაქსის გაგზავნა იყო უეფა-ს შეცდომა".

იბადება ასეთი კითხვა: რატომ უნდა დაისაჯონ თბილისელები უეფა-ს შეცდომის გამო?

მერაბ ჟორდანიამ აგრეთვე აღნიშნა, რომ დინამოელთა გუნდმა და „ბანი და კომპანიამ" დაიქირავეს ექვსი ადვოკატი, რომლებიც შეეცდებიან დაამტკიცონ თბილისელთა სიმართლე.

გუშინ „დინამოს" კლუბმა შეიტანა აპელაცია უეფა-ში საკონტროლო-დისციპლინარული კომიტეტის გადაწყვეტილების გამო. გამოითქვა იმედი, რომ უეფა-ში გამოჩნდებიან საღად მოაზროვნე ადამიანები, სამართლიანობა იზეიმებს და თბილისელებს ნებას დართავენ, განაგრძონ ასპარეზობა ამ პრესტიჟულ ევროპულ ტურნირში.

11 სექტემბერს უეფა-ს სააპელაციო კომისიის სხდომაზე განიხილავენ თბილისელთა აპელაციას. კომისიის გადაწყვეტილება იქნება საბოლოო და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

თენგიზ პაჭკორია.

ნომერში

- სად გადის ფრონტის ხაზი საქართველოში?! 2-3
- ქვეყანას მეწარმე გადაარჩენს. 3

ედუარდ შევარდნაძე დასავლეთ საქართველოში

5 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა.

ქუთაისში ჩასვლისას მას დახვდნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრი გიორგი ყარყარაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი თეიმურაზ ხაჩიშვილი, მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელი ჯაბა იოსელიანი, ქალაქ ქუთაისის მერი თეიმურაზ შაშიაშვილი, თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები, დასავლეთ საქართველოში დისლოცირებული შეიარაღებული ძალების შენაერთების მეთაურები.

ქალაქის მერიაში ედუარდ შევარდნაძემ ხანგრძლივი თათბირი გამართა ქალაქ ქუთაისისა და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი რეგიონის ადმინისტრაციათა ხელმძღვანელებთან. მოისმინა დაწვრილებითი ინფორმაციები შექმნილი ვითარების შესახებ.

შემდეგ ედუარდ შევარდნაძე შეხვდა სამხედრო ნაწილების მეთაურებს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ გიორგი ყარყარაშვილი, თეიმურაზ ხაჩიშვილი, ჯაბა იოსელიანი, თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების, საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელები.

5 სექტემბერს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ქუთაისიდან ფოთში ჩავიდა. აქ მას შეხვედრა ჰქონდა ფოთის მერთან რომან მელიასთან და ფოთის გარნიზონის მეთაურთან კობა კობალაძესთან. განიხილეს ქალაქში შექმნილი ვითარება. დიდი ყურადღება დაეთმო ქალაქის დაცვისა და ნავსადგურის გამართული მუშაობის უზრუნველყოფის გადაუდებელ ღონისძიებებს.

იმავე დღეს ედუარდ შევარდნაძე ბათუმს ეწვია და შეხვდა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძეს.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაური თბილისში გვიან ღამით დაბრუნდა. თბილისის აეროპორტში მას დახვდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, სხვა ოფიციალური პირნი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

აფხაზეთში ვითარების მოწესრიგების გაერთიანებულ კომისიაში საქართველოს მხრიდან წევრების დამატების შესახებ

აფხაზეთში ვითარების მოწესრიგების გაერთიანებულ კომისიაში საქართველოს მხრიდან დამატებით დაინიშნონ:

ბორის კაკუბავა — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ვალერი ქვარაია — გენერალ-მაიორი, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მთავარი სამხედრო მრჩეველი;

ვლადიმერ ჩიქოვანი — გენერალ-მაიორი, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდალი.

ე. შევარდნაძე.

თბილისი. 6 სექტემბერი, 1993 წ.

პრეზიდენტმა კლინტონმა მიიღო საქართველოს ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში

საქინფორმი იტყობინება, რომ 8 სექტემბერს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა მიიღო საქართველოს ელჩი ამ ქვეყანაში პეტრე ჩხეიძე.

ბატონმა პეტრე ჩხეიძემ პრეზიდენტს გადასცა რწმუნების სიგელი, რითაც ფორმალურად დადასტურდა მისი, როგორც საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დანიშვნა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

შეხვედრის დროს აღინიშნა, რომ საქართველოს ხელისუფალნი და ქართველი ხალხი ემადლიერებიან ამერიკელებს იმ დიდი დახმარებისათვის, რასაც ამ ძნელბედობის ჟამს საარსებო მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის. ქართველ ხალხს კარგად აქვს შეგნებული, რომ ქვეყნის წარმატება, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია თვად მის ხალხზე და ღრმად სწამს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც წამყვანი ძალა დემოკრატიისა და რეფორმათა საყოველთაო დამკვიდრების საქმეში, მომავალშიც ამოუდგება მხარში საქართველოს პრობლემათა დაძლევაში.

კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმას, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ რესპუბლიკის უპირველეს პრიორიტეტებად აღიარა დემოკრატია, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა და მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან მშვიდობიანი თანაცხოვრება. აღინიშნა აგრეთვე, რომ საქართველოს ხელისუფლება ძალ-ღონეს არ იშურებს რეგიონში მშვიდობის დამყარებისათვის, რაც აუცილებელი პირობაა პროგრესის მისაღწევად. დემოკრატიისა და სტაბილურობის დამყარება საარსებო მნიშვნელობის ამოცანაა ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკისათვის, უწინარეს ყოვლისა კი — რუსეთისათვის, რომლის მდგომარეობა განსაკუთრებულ გავლენას ახდენს მსოფლიო განვითარებაზე. ამ რესპუბლიკებს შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია დღეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია ყველასათვის და მისი გადაწყვეტის საქმეში ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლია შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი.

ბატონმა პეტრე ჩხეიძემ განაცხადა, რომ, მისთვის, როგორც საქართველოს ელჩისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრული ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცება. ღმერთმა დალოცოს ამერიკა, ამერიკელი ხალხი და მათი პრეზიდენტი საქართველოს სიყვარულისა და მისი მხარდაჭერისათვის, თქვა დასასრულ საქართველოს ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საპასუხოდ, ბატონმა ბილ კლინტონმა გამოთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ მიეცა საშუალება მიიღოს რწმუნების სიგელი საქართველოს პირველი ელჩისაგან, რომლის დანიშვნა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ორი ქვეყნის ურთიერთობის გაფართოებისა და კიდევ უფრო განმტკიცების საქმეში. მან თქვა, რომ ამერიკა მთლიანად უჭერს მხარს საქართველოს ხელმძღვანელობის ძალისხმევას რეგიონული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა განსაკუთრებული პატივისცემა გამოხატა ბატონ ედუარდ შევარდნაძისადმი მისი საქმიანობის პრინციპებიდან გამომდინარე და აღნიშნა, რომ სურს, გაღრმავდეს ჩვენი ორი ქვეყნის გულთბილი, მეგობრული დამოკიდებულება.

საქართველოს პარლამენტი და მისი აპარატი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს პარლამენტის წევრი, საპარლამენტო ფრაქცია „კონსერვატორების", კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის წევრი

თენგიზ გელოვანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

არ დავუშვათ დესტაბილიზაცია კახეთში

6 სექტემბერს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო კახეთის რაიონების გამგებლები მათი თხოვნით. საუბარი ძირითადად რეგიონში არსებულ პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ვითარებას შეეხო. აღინიშნა, რომ დღეისთვის კახეთში მშვიდი, სტაბილური ვითარებაა, თუმცა, არსებობენ დესტრუქციული ძალები, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ, შექმნან დაძაბულობა, მაგრამ, ჯერჯერობით, ამას ვერ ახერხებენ. ზოგიერთი რაიონის გამგებელმა განაცხადა, რომ საჭიროებს დახმარებას და ადგილობრივი ძალებით შეებრძოლება ყველას, ვინც ცდილობს დაძაბოს ისედაც დაძაბული ვითარება.

რთული ვითარებაა რეგიონის ეკონომიკაში. არის რაიონები, რომლებსაც მთელი წლის განმავლობაში სულ 200-300 ტონა საწვავი თუ აქვს მიღებული. საშიშროების წინაშეა სეტყვის, გვალვებისა და მძარცველებისაგან გადარჩენილი ისედაც მცირე მოსავალი. დასაზუსტებელი და მოსაგვარებელია ყურძნის მოსახლეობისაგან შესყიდვის ფასები. გადასაჭრელია რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა რაიონში მოწეული პროდუქციის პროცენტების გადაცემა გამგებლობებისთვის, სხვადასხვა შეიარაღებული ფორმირებების კომპეტენცია, დისლოკაცია და სხვა.

საუბარი იყო იმის შესახებაც, რომ გაჭიანურდა დასეტყვილი ფართობების წესრიგში მოსაყვანად კომპენსაციის გამოყოფა, არ არის შეთანხმებული ცენტრისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მუშაობა, ხდება ისიც, რომ ადგილობრივი კომერციული სტრუქტურები გატანილი პროდუქციის საფასურს არ აბრუნებენ, ეს, რაღა თქმა უნდა, ხელს როდი უწყობს ეკონომიკურ გარდაქმნებს.

კახეთის რეგიონის გამგებლებმა, სახელმწიფოს მეთაურს აღუთქვეს, რომ ძალასა და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა შეინარჩუნონ სიმშვიდე, აღორძინონ ეკონომიკა, არ დაკარგონ მოსავალი. ამავე დროს, მოითხოვეს, უფრო მეტი თავისუფლება სამეურნეო და ფინანსური საკითხების გადაწყვეტაში. მათ სახელმწიფოს მეთაური მიიწვიეს კახეთში. გამოთქვეს შეშფოთება სამეგრელოში მიმდინარე მოვლენების გამო და განაცხადეს, რომ სასურველი იქნება, კახეთის რაიონების დელეგაცია გაგზავნონ ზუგდიდში.

დასასრულ, კახეთის რეგიონის გამგებლებს სიტყვით მიმართა სახელმწიფოს მეთაურმა. მან კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ რეგიონი სტაბილურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას ინარჩუნებს. მან ამავე დროს გამგებლებს სთხოვა, იყვნენ მოწოდების სიმაღლეზე, არ დაუშვან დესტრუქციული ძალებისადმი შემრიგებლობა, იბრძოლონ მოსავლის შენარჩუნებისა და დროულად აღებისთვის, იზრუნონ მოსახლეობის კეთილდღეობისთვის, მისი სოციალური დაცვისთვის. მან მოიწონა კახელების ინიციატივა, მონაწილეობა მიიღონ სამეგრელოს საკითხის მოგვარებაში.

საქინფორმი.

ეროვნული მეცნიერებისა და კულტურის ცენტრი

4 სექტემბერს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან გამართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 75 წლის იუბილეს.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

უნივერსიტეტის რექტორმა როინ მეტრეველმა შეკრებილთ გააცნო საიუბილეო მზადებასთან დაკავშირებული სამუშაოების მიმდინარეობა იუბილეს დღეებში, რომელიც 3 სექტემბერს დაიწყო და 9 სექტემბრამდე გასტანს, გადაწყვეტილია სამეცნიერო კოლოკვიუმების, შეხვედრების გამართვა. რექტორმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება უცხოეთის სხვადასხვა სასწავლებლებთან კავშირს. ახლაც, ბევრ სტუმარს ელიან საზღვარგარეთიდან. მან მადლობა გადაუხადა სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებსა და კერძო ფირმებს უნივერსიტეტისათვის მატერიალური დახმარების გაწევისათვის.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნდა აღსდგეს ის ურთიერთობები, რომელიც უნივერსიტეტს ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებთან და, სამწუხაროდ, ისინი ამ ბოლო წლების მანძილზე დაირღვა.

— უნივერსიტეტი იყო, არის და კვლავაც იქნება ქართული კულტურისა და მეცნიერების ცენტრი, მაღალი სულიერების კერა, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ. — ეკონომიკური დაქვეითების ერთგვარი დაცემის ფონზე, რომელსაც აუცილებლად ვუშველით, არ უნდა დავუშვათ ქართული სულის დაცემა, ეს უბედურება იქნება. უნივერსიტეტის იუბილე, თქვა სახელმწიფოს მეთაურმა, განსაკუთრებული მოვლენაა ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში. მან ახალი როლი უნდა იტვირთოს დემოკრატიული საქართველოს აღმშენებლობის განვითარებაში.

გულიკო მარკოზაშვილი,

სომხეთის დროებითი რწმუნებულის მიღება

4 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო სომხეთის რესპუბლიკის დროებითი რწმუნებული საქართველოში ლევონ ხაჩატრიანი.

შეხვედრაზე კმაყოფილებით აღინიშნა, რომ ურთიერთობებს სომხეთსა და საქართველოს შორის, რომლებსაც მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა აკავშირებთ, ახალი დასაბამი მისცა ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილმა ხელშეკრულებათა მთელმა პაკეტმა — ერთმანეთის მიმართ ურთიერთვალდებულებების განმსაზღვრელმა დოკუმენტებმა.

ბატონმა ლევონ ხაჩატრიანმა გამოხატა რა სომხეთის ხელმძღვანელობის დადებითი დამოკიდებულება აფხაზეთში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გამო, სომხეთის რესპუბლიკასა და საქართველოში მცხოვრები სომხების სახელით თანადგომა და ხელშეწყობა აღუთქვა სახელმწიფოს მეთაურს მის ყველა წამოწყებაში.

საუბარი შეეხო აგრეთვე ორივე ქვეყნისათვის მტკივნეულ საკითხს — სარკინიგზო და საგზაო მაგისტრალების გადაკეტვას და, აქედან გამომდინარე, საარსებო მნიშვნელობის ტვირთის მიღების შეფერხებას, რაც დიდ ზარალს აყენებს როგორც საქართველოს, ისე მეზობელ ქვეყნებს. ამავე მიზეზით გამოწვეულმა საქართველოს ვალმა 12 მილიარდი მანეთის ოდენობით დღესდღეობით კვლავ მატება დაიწყო.

სახელმწიფოს მეთაურმა სომხეთის მხარეს აღუთქვა, რომ მიღებული იქნება ზომები ვითარების გამოსასწორებლად.

გრძელდება ქართველთა დეპორტაცია

სოხუმი, 6 სექტემბერი. (საქინფორმის კორ.). 10 აგვისტოს, აფხაზეთში ვითარების მოწესრიგების გაერთიანებულმა კომისიამ ცნობად მიიღო ქალაქ გაგრის ზონაში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესწავლისთვის მის მიერ შექმნილი სპეციალური სამმხრივი კომისიის ინფორმაცია. კომისიის საქართველოს ნაწილის დაჟინებული მოთხოვნით, გაერთიანებულმა კომისიამ დაგმო ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევები და მოუწოდა მხარეებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ასეთი ფაქტების დაუშვებლობის მიზნით. გაერთიანებული კომისიის საქართველოს ნაწილს მიაჩნია, რომ ამის მიუხედავად, დღემდე გრძელდება ქართული მოსახლეობის დეპორტაცია ქალაქ გაგრის ზონიდან, რის გამოც, მან გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია:

ლტოლვილთა და სამხედრო ტყვეთა პრობლემების სამუშაო ჯგუფის საქართველოს მხარე დაჟინებით სთხოვს გაერთიანებულ კომისიას, შექმნას ამ ფაქტების შემსწავლელი სამმხრივი კომისია.

ამავე დროს, საქართველოს მხარეს, რომლისთვისაც ცნობილია, ქალაქ გაგრის ზონაში ადამიანის უფლებათა დარღვევის ეს და სხვა ფაქტები, მაინც არ შეუძლია ხელი ქალაქ სოხუმში, სოხუმის, გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონებში აფხაზი და სხვა ეროვნების ლტოლვილთა შეუთანხმებელი დაბრუნებისთვის. მაგრამ ლტოლვილთა და სამხედრო ტყვეთა პრობლემების სამუშაო ჯგუფის აფხაზური ნაწილი თავს არიდებს ლტოლვილთა დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას, რომელთა ტრაგიკული ბედი უნდა აწუხებდეს ყველას. ალბათ, ამ პრობლემის გადაჭრას ვერ შეუწყობს ხელს საზოგადოებრივი აზრის აღძვრა, აჟიოტაჟი, ვნებათა ღელვის გამწვავება, ეგრეთ წოდებული „სამშვიდობო მარშების" გამართვა, რასაც შეიძლება მოჰყვეს განუჭვრეტელი უარყოფითი შედეგები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაცია და მისი ახალი გამწვავება.

ჩვენი ღრმა რწმენით, ლტოლვილთა დაბრუნება და ამასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა უნდა მოხდეს ყველა მხარის მაქსიმალურად შეთანხმებული, აქტიური და აწონ-დაწონილი მოქმედების პირობებში, — აღნიშნულია ლტოლვილთა და სამხედრო ტყვეთა პრობლემების სამუშაო ჯგუფის საქართველოს ნაწილის განცხადებაში.

წამოიჭრა უთანხმოება

სოჭი, 6 სექტემბერი (იტარ-ტასი-საქინფორმი). 5 სექტემბერს, გუდაუთაში გაიმართა აფხაზეთში შექმნილი ვითარების მოწესრიგების გაერთიანებული კომისიის რუსული, აფხაზური და ქართული ნაწილების ხელმძღვანელთა შეხვედრა. მასზე იხილავდნენ სამთავრობო სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას. ვარაუდობდნენ, რომ ეს ჯგუფი 9 სექტემბერს სოხუმში შეუდგებოდა სოჭის შეთანხმების მე-8 პუნქტის შესრულებას (ანუ იგი დაიწყებს პირობების შექმნას ხელისუფლების კანონიერი ორგანოების საქმიანობის განახლებისათვის), მაგრამ, როგორც ჩვენს კორესპონდენტს აცნობეს გაერთიანებული კომისიის რუსეთის ნაწილის პრესცენტრში, 19 კაცისაგან შემდგარი სამუშაო ჯგუფის სია არ მოიწონეს ორივე დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებმა, — აფხაზთა მხარე არ დაეთანხმა ზოგიერთ კანდიდატურას, ქართველთა მხარეს კი მიაჩნია, რომ ამ სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში არ უნდა შედიოდეს შეთანხმების მე-8 პუნქტის შესრულება, მან მხოლოდ რესპუბლიკის ნორმალური სიცოცხლისუნარიანობისათვის საჭირო პირობების შექმნის ფუნქციები უნდა იკისროს.

ეკლესიის კურთხევის დღესასწაული

4 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ, პარლამენტის დეპუტატებმა ჯანსუღ ჩარკვიანმა, ვაჟა ხაჭაპურიძემ და სხვა ოფიციალურმა პირებმა, საქართველოს პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის მიწვევით დაათვალიერეს თბილისში, „ქართლის დედის" ძეგლის მახლობლად მდებარე „ბეთლემის" საეკლესიო კომპლექსი.

აქ გაჩაღებულია სამშენებლო-სარესტავრაციო სამუშაოები. მშენებლებმა და მხატვარმა რესტავრატორებმა სტუმრებს უამბეს იმ პრობლემათა შესახებ, რომლებიც წამოიჭრა მათ წინაშე მუშაობის პროცესში. პარლამენტის სპიკერი დაჰპირდა მათ დახმარებას ამ მნიშვნელოვან საქმეში.

შემდეგ სტუმრები და „ბეთლემის" წინამძღვარი მამა ტარიელი გაემართნენ მდინარე დიდი ლიახვის დაბლობში მდებარე ქართულ სოფელ ჭორთაში, სადაც გაიმართა აქ მდებარე ქართული სოფლების მცხოვრებთა ინიციატივით უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში აშენებული „გერის წმინდა გიორგის" ეკლესიის გახსნა-კურთხევა.

იმათთვის, ვინც გადაიტანა სამაჩაბლოში ძმათამკვლელი ომის მთელი საშინელება, ის მოვლენა ნამდვილი დღესასწაული გახდა.

ჯანსუღ ჩარკვიანმა მოუწოდა ცხინვალიდან ლტოლვილებს, დაუბრუნდნენ თავიანთ კერებს.

— დღეს, — აღნიშნა ვახტანგ გოგუაძემ, — მეტად, ვიდრე ოდესმე, არა მარტო ჩვენ, არამედ საქართველოს ყველა მცხოვრები, უნდა გაერთიანდეს მშვიდობისა და რესპუბლიკის ეკონომიკის აღორძინებისათვის. საქართველოს პარლამენტი და მთავრობა ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს, სამაჩაბლოში შექმნილი ვითარების გაუმჯობესების უკვე დაწყებული პროცესის განვითარებას.

თენგიზ ჩხიკვაძე,

ნაღმზე აფეთქდნენ

თბილისი, 6 სექტემბერი (საქინფორმის კორ.). როგორც აფხაზეთში დისლოცირებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრში გვაცნობეს, ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ცდილობდნენ შემოსავლელი გზით გადასულიყვნენ მდინარე გუმისთის მეორე ნაპირზე სოხუმის მისადგომებთან, აფეთქდა ნაღმზე. არის მსხვერპლი. ამ ტრაგიკულ მოვლენასთან დაკავშირებით, პრესცენტრმა გააფრთხილა ყველა, ვინც ცდილობს დაუბრუნდეს მშობლიურ კერებს იმ ტერიტორიებზე, სადაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მიმდინარეობდა საომარი მოქმედება, რომ ეს საშიშია მათი სიცოცხლისათვის, რადგან ჯერ კიდევ არ დასრულებულა ტერიტორიათა განნაღმვის სამუშაოები.

ქართველებმა ერთობა ერთმანეთს დავით აღმაშენებლის საფლავთან უნდა შეჰფიცონ

21 სექტემბერს, ღვთისმშობლობის დღეს გელათში დავით აღმაშენებლის საფლავთან ქუთაისელთა ინიციატივით გაიმართება ქართველთა შერიგების და ერთობის კიდევ ერთი ღონისძიება, რომელზეც მიწვეულია ყველა, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლოს დამოუკიდებლობისა და მთლიანობის ინტერესები და მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელი პოლიტიკური მრწამსის მიმდევარია იგი. — ამის შესახებ გუშინწინ, 5 სექტემბერს, ჟურნალისტებს განუცხადა ქალაქის მერმა თეიმურაზ შაშიაშვილმა. — ქუთაისი ბოლომდე შეასრულებს თავის ისტორიულ მისიას ქართველთა შერიგების საქმეში. მთელი ჩვენი ქალაქი, ვისაც სული უდგას და ფეხზე სიარული შეუძლია, მივა დავითის საფლავთან და ერთობის ნიშნად მუხლს მოიდრეკს მის წინაშე, — თქვა თეიმურაზ შაშიაშვილმა და დასძინა, რომ ამ იდეას მხარს უჭერს ჩვენი ეკლესია და იგი მოიწონა, მასში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლობამაც. ეს დღე ქართველთა მხედრული შერიგების დღედ გვინდა გამოვაცხადოთ და ბოლოს და ბოლოს ისიც ხომ უნდა ვიცოდეთ, თუ ვინ არ მოვა შესარიგებლად, — თქვა თეიმურაზ შაშიაშვილმა.

21 სექტემბერი ჩაფიქრებულია როგორც ფართო მასობრივ ღონისძიებათა დღე ქალაქში. ქუთაისელები სტუმრებს გააცნობენ უკვე დეტალურად დამუშავებულ იმ პროგრამას, რომელიც სოხუმის აღდგენის საქმეში ქუთაისის მონაწილეობის ღონისძიებებს მოიცავს; ქალაქის ცენტრალურ მოედანზე საფუძველი ჩაეყრება დავით აღმაშენებლის ძეგლს, რომლის ავტორი გამოჩენილი ქართველი მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელია; ასევე საფუძველი ჩაეყრება საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ძეგლს, რომელიც სადგურის წინ მდებარე მოედანზე უნდა აღიმართოს; განხილული იქნება ახალი ქუჩის — დავით აღმაშენებლის ქუჩის პროექტი და ბოლოს, როგორც ბატონმა შაშიაშვილმა თქვა, „გელათში საქართველომ მუხლი უნდა მოიყაროს დავითის საფლავთან და შეჰფიცოს, რომ მისი დროშა ერთი იყო ყოველთა ქართველთათვის და ამ დროშამ დღესაც უნდა გაგვაერთიანოს".

მხარს ვუჭერთ სახალხო მოძრაობა „დემოკრატიულ საქართველოს"

ქართლის რეგიონის წარმომადგენელთა გორის შეკრების მიმართვა სახელმწიფოს მეთაურისადმი

პატივცემულო სახელმწიფოს მეთაურო, ბატონო ედუარდ!

ქართლის რეგიონში მცხოვრები ყველა პატიოსანი და მშრომელი ადამიანი მხარს ვუჭერთ და ვერთიანდებით რა სახალხო მოძრაობა — „დემოკრატიულ საქართველოში", ვიწონებთ თქვენს ზოგად პოლიტიკურ კურსს და გიცხადებთ სრულ თანადგომას. ამასთან, თქვენგან მოვითხოვთ: გამოიყენოთ პარლამენტის მიერ მონიჭებული დამატებითი უფლებები საშინაო პოლიტიკაში ლიბერალური კურსის შესაცვლელად. მიმტევებლობისა და ჰუმანიზმის თქვენს მიერ განხორციელებული აქტები უნაყოფო და უშედეგო აღმოჩნდება, თუ ასეთი აქტების პარალელურად არ გამოიყენებთ კანონით გათვალისწინებულ მკაცრ ღონისძიებებსაც ქვეყანაში გამეფებული განუკითხაობისა და დამნაშავეობის აღმოსაფხვრელად. ამ მიზნით გთხოვთ:

1. პარლამენტის წინაშე დასვათ საკითხი, რათა მიღებულ იქნეს კანონი იარაღის უნებართვოდ ტარებისა და შენახვის აკრძალვის შესახებ;
2. უახლოეს მომავალში გადაიყვანოთ ქვეყანა განსაკუთრებულ რეჟიმზე;
3. ყველა ღონე იხმაროთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად და ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებთან გაწყვეტილი ეკონომიკური კავშირების აღსადგენად;
4. იმოქმედოთ უფრო გაბედულად, კანონის უზენაესობის პრინციპით, რათა რეალობად არ იქცეს ქვეყნის დაშლის აშკარა საფრთხე.

საქართველოს თანადგომა გადაარჩენს

შაბათს, 4 სექტემბერს, გორს ეწვივნენ ზემო და ქვემო ქართლში შემავალი 15 რაიონის საქალაქო და რაიონული ხელისუფლების ხელმძღვანელები, პარლამენტის წევრები, თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და სხვა ქალაქების ინტელიგენციის წარმომადგენლები. საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელმა ფედერაციამ, რომელმაც მხარი დაუჭირა თავისი გორის განყოფილების ინიციატივას, ადგილობრივ გამგეობასთან ერთად გადაწყვიტა, აქ, ქართლის შუაგულში, დაეწყოს საერთო-სახალხო მოძრაობა დევიზით „საქართველოს თანადგომა გადაარჩენს".

საქართველოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რომლებმაც ქალაქი მოიარეს და გაეცნენ მცხოვრებთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო [illegible] პირობებს, შეიკრიბნენ ქალაქის დრამატულ თეატრში. ქალაქის გამგებელმა ზურაბ წკრიალაშვილმა, საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ფედერაციის თავმჯდომარემ აკაკი სი[illegible]ამ და მისი გორის განყოფილების თავმჯდომარემ მაყვალა [illegible], ახალი ჟურნალის „ჟურნალისტის" რედაქტორმა გივი ჭელი[illegible] შეკრებილთ გაუზიარეს აზრი ამ აქციის თაობაზე, რომლის მიზანია, განაგრძონ ისტორიული ტრადიცია, როცა რესპუბლიკისათვის ძნელ ხანაში იკრიბებოდნენ ყველაზე პატივცემული ადამიანები, რათა ერთობლივი ძალისხმევით გამოენახათ იმ უძნელესი მდგომარეობიდან გამოსვლის გზები, რომელშიც შეიძლება ქვეყანა აღმოჩნდეს.

ორატორები, რომელთა შორის იყვნენ რაიონების გამგებლები, მეცნიერები, მწერლები, ექიმები, პედაგოგები, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ბრძოლების მონაწილეები, ლტოლვილები, ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ რესპუბლიკა სამოქალაქო ომის მიჯნაზეა და თუ დღესვე ყველანი ერთად არ შევიკრიბებით, არ შევწყვეტთ ინტრიგებსა და კინკლაობას, არ უკუვაგდებთ ამბიციებს, ხვალ [illegible]დან ვერ ავიცილებთ ომსა და ნგრევას.

კრების მონაწილეებმა რესპუბლიკის პარლამენტს მოსთხოვეს, მხარი დაუჭიროს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკას. გამოთქვეს რწმენა, რომ ყველა სფეროში საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის რადიკალური გაუმჯობესება კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება.

ხალხის აზრი

სოციალური კვლევის ცენტრმა 1993 წლის 1-3 სექტემბერს თბილისის მასშტაბით ჩაატარა სატელეფონო გამოკითხვა. გამოკითხულია 450 რესპონდენტი.

საქართველოში ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების აღდგენას დადებითად უყურებს 18,4%, უარყოფითად — 71,1%, ამ საკითხის მიმართ არ გააჩნიათ საკუთარი დამოკიდებულება 10,5%.

შეკითხვაზე: მიუხედავად იმისა, თუ როგორია თქვენი დამოკიდებულება გამსახურდიას ხელისუფლების აღდგენისადმი, როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია გამსახურდიას ხელისუფლების აღდგენა? მიღებულია შემდეგი პასუხები:

რეალურია	17,6%
არარეალურია	77,2%

პარლამენტის საქმიანობას დადებითად აფასებს თბილისის მოსახლეობის 7,9%, ნეიტრალურად 30,7%, უარყოფითად 61,4%.

ედუარდ შევარდნაძის საშინაო პოლიტიკურ კურსს დადებითად აფასებს მოსახლეობის 30,7%, ნეიტრალურად 44,7%, ხოლო უარყოფითად 24,6%.

პოლიტიკურ მოღვაწეთა მიმართ თბილისის მოსახლეობის დამოკიდებულება

	დადებითი სექტემბერი თბილისი	უარყოფითი სექტემბერი თბილისი
1. ედუარდ შევარდნაძე	69,3%	18,9%
2. ირინა სარიშვილი	54,1%	22,0%
3. ასლან აბაშიძე	52,6%	24,8%
4. ნოდარ ნათაძე	43,0%	24,5%
5. ზურაბ ჟვანია	38,6%	14,4%
6. გიორგი ჭანტურია	30,7%	31,6%
7. თედო პაატაშვილი	28,9%	19,3%
8. ჯაბა იოსელიანი	29,1%	29,8%
9. ზვიად გამსახურდია	15,9%	53,4%
10. თენგიზ სიგუა	11,4%	50,9%
11. თენგიზ კიტოვანი	11,4%	47,7%
12. ირაკლი წერეთელი	7,8%	55,3%

პო

სად გადის ფრონტის

უკანასკნელ ხანს საქართველოს მწვანეების წინააღმდეგ გამალებული კამპანია გაიშალა. გამოითქვა მრავალი ბრალდება, მათ შორის საკმაოდ მძიმეც. საყურადღებოა, რომ ბრძოლამ, რომელიც დამოუკიდებელ გაზეთებში ცალკეული პუბლიკაციებით დაიწყო, საბოლოო ჯამში „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზეც გადაინაცვლა. ახალ-ახალმა სტატიებმა ქართველ საზოგადოებას „თვალი აუხილა" იმაზე, რომ საქართველოს ეკონომიკის განადგურებაში, მისი ტყეების ჩეხვაში, ხაზინის გაქურდვაში, ექსტრემიზმის დამკვიდრებაში, მოსახლეობისა და ხელისუფლების შანტაჟში და ვინ მოთვლის კიდევ რამდენ ცოდვაში, რომლის მიზეზებსაც მანამდეც და დღესაც მოსახლეობა სხვაგან ეძებდა, ლომის წილი თურმე, სწორედ მწვანეებს მიუძღვით.

რა გახდა ყოველივე ამის მიზეზი და როგორ იყო ეს დაკავშირებული ბოლოდროინდელ ცვლილებებთან სახელისუფლებო სტრუქტურებში, რითაც არსებითად დაიწყო ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ახალი ეტაპი? ამ გაგანია ომის პერიოდში რატომ მიიქციეს მწვანეებმა ესოდენ დიდი ყურადღება და რაში გამოიხატება მათი რეალური „დანაშაული"?

პასუხი მარტივია ეს არის მწვანეთა პარტიის მაღალი რეიტინგი მოსახლეობაში, მისი სახელის შეუბღალველობა, სახელმწიფოს მეთაურის პოლიტიკის თანამიმდევრული მხარდაჭერა და, რაც მთავარია, მუდმივი ანტიკორუფციული გამოსვლები, ბრძოლა განუკითხაობის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელის გამო მწვანეებსა და სამთავრობო წრეებს შორის ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მრავალჯერ ჩამოვარდა სერიოზული უთანხმოება. მკითხველს აღარ შევახსენებთ გამოსვლებს გიგანტური მშენებლობებისა თუ უცხოეთიდან მილიონობით ტონა ნაგვის შემოტანის წინააღმდეგ, კამპანიებს ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესაქმნელად და შავი ზღვის გადასარჩენად, რადიოაქტიური ხორცის შემოტანის აღსაკვეთად გაჩაღებულ ბრძოლას, ნამდვილად ხელჩართულ ომს თბილისის შემოგარენისა თუ დედაქალაქის მწვანე ნარგავების შენარჩუნებისათვის და მწვანეთა მიერ დაყენებულ მრავალ სხვა საკითხს. ჩვენი რეალური და შეურიგებელი მოწინააღმდეგე მუდამ ის იყო, ვინც განუკითხაობით სარგებლობდა და საკუთარი ჯიბის გასქელებაზე ზრუნავდა (აქაც და ქვემოთაც საუბარი არ მაქვს ჩვენს ჭეშმარიტად იდეურ ოპონენტებზე, იმ სპეციალისტებზე, რომლებიც განსხვავებული აზრის სისწორეში გულწრფელად იყვნენ დარწმუნებული. მათთან მუდამ ვახერხებდით თანამშრომლობას და დღესაც პატივისცემით ვართ განმსჭვალულნი). ანტიკორუფციული საქმიანობა მუდამ ჩვენი პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენდა. მისი არსი ის იყო, რომ ათობით ადამიანის გამდიდრებას არ შეეწირებოდა მთელი ქვეყნის კეთილდღეობა, ეროვნული სიმდიდრე, მომავალ თაობათა ბედი. ცხადია, ეს ხაზი წარმომადგენლობით ორგანოშიც, სახელმწიფო საბჭოში და პარლამენტშიც გაგრძელდა. ამას მოჰყვა ურთიერთობათა დაძაბვა ახალ მთავრობასთანაც. გავიხსენებ ორ საკმაოდ მწვავე უთანხმოებას. პირველი ჩამოვარდა შარშან ივნისში, როდესაც სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე მთელი სიმწვავით დაისვა საქართველოდან თურქეთში ხე-ტყისა და სხვა ნედლეულის გატანის საკითხი. მეორე კონფლიქტი ალბათ მრავალ ტელემაყურებელს ახსოვს, ვინაიდან იგი პარლამენტის სხდომაზე მწვანეთა ფრაქციის მიერ ევროგაერთიანებისაგან გამოყოფილი კრედიტების გამოყენების შემოწმების მოთხოვნის გამო მოხდა. იმასაც შევახსენებთ, რომ ჩვენი მოთხოვნით შექმნილმა კომისიამ, რომელსაც მწვანეთა დეპუტატი პეტრე მამრაძე ხელმძღვანელობდა, 80-დან დაახლოებით 5 მილიონი დოლარის გაფლანგვა აღმოაჩინა. დადასტურდა, რომ მწვანეები არა მხოლოდ ლაპარაკობენ კორუფციის შესახებ, არამედ იმის უნარიც შესწევთ, რომ ხანგრძლივი გამოძიების შედეგად კონკრეტული ფაქტები გამოავლინონ. ცხადია, ამგვარი ვითარება მრავალს ჩინოსანს მეტად რეალურ საშიშროებას უქმნიდა.

საბოლოო სიგნალი მწვანეთა წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანიის გასაჩაღებლად გახდა მაშინ, როცა ჩვენმა ფრაქციამ მაისის დასაწყისში მთელი სიმწვავით დასვა მინისტრთა კაბინეტის გადადგომის საკითხი. შევახსენებთ, რომ ეს მოხდა მას შემდეგ, რაც კაბინეტმა მრავალი დაპირების მიუხედავად ვერ წარმოადგინა კუპონის გამტკიცების პროგრამა. აღმოჩნდა, რომ ეროვნული ვალუტის სუროგატის შემოტანა ყოველგვარი რეალური პროგრამის, პროგნოზირების და დაცვის გარეშე მოხდა, რამაც უკიდურესად გაამწვავა სოციალური მდგომარეობა სახელმწიფოში. ზოგიერთის თვალში აშკარა გახდა, რომ მწვანეები „ზედმეტად ბევრს ლაპარაკობენ" და თანაც წამოწეულ საკითხთა გატანას ბოლომდე აპირებენ. მაშასადამე, საჭირო შეიქნა მათი, როგორც პოლიტიკური ძალის, გაუვნებელყოფა, რისთვისაც ყველაზე ეფექტურია დისკრედიტაციის გზა. ასე რომ, მწვანეთა მთავარი „დანაშაული", რაზეც პასკვილების ავტორები მორცხვად დუმან, არის მთავრობის გადადგომის მოთხოვნა და კორუფციის ის კონკრეტული ფაქტები, რომლებიც მათ ამხილეს. საქმის ვითარება რომ სწორედ ასე იყო, პარლამენტის თუნდაც იმ სხდომაზე დადასტურდა, რომელზეც მთავრობის გადადგომის მოთხოვნას ბატონი კიტოვანის თავშეუკავებელი გამოხდომა მოჰყვა. შევახსენებთ, რომ თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა მწვანეებს „ქურდები" უწოდა და ყოველი შემთხვევისათვის, სისხლის დაღვრითაც დაიმუქრა. აი, სწორედ ამ გამოსვლისთვის, ამ მომენტისთვის იწერებოდა ყველა ის სტატია, რომლებთაც მწვანეთა „მხილება" ხდებოდა!

იქნებ, მწვანეთა მიმართ გამოთქმული ცილისმწამებლური ბრალდებებიც მართალია და ეს პარტია სახელმწიფო ხაზინასთან ურთიერთობაში არც ისე სუფთაა, როგორც თავს აჩვენებდა მოსახლეობას? იქნებ მწვანეები მართლაც ხაზინის ქურდები არიან და მუშთაიდის სარდაფები ეროვნული ბანკიდან გატაცებული მილიარდებით აქვთ ამოვსებული?

ლაპარაკია იმ 102 მილიარდ 700 მილიონის შესახებ, რაზეც პრესასა და საზოგადოებაში ამდენი მითქმა-მოთქმა ატყდა. ცოტა არ იყოს გაუგებარია, რატომ ჩქარობდა მავანი და მავანი და არ სურდა დალოდებოდა ჩვენი მოთხოვნით შექმნილი საპარლამენტო კომისიის დასკვნებს? ალბათ იმიტომ, რომ იცოდა — ნებისმიერი კომისია მარტივად დაადასტურებდა, რომ არანაირი მილიარდები არავის არსად არ წაუღია და მით უფრო მწვანეების ანგარიშზე არც ერთი კაპიკი არ ჩარიცხულა!

კიდევ ერთხელ გავიმეორებ — 102 მილიარდ 700 მილიონზე ეროვნული ბანკის მიერ გამოწერი ქაღალდი საგანგებო ღონისძიების ჩასატარებლად (უნდა მომხდარიყო ამ თანხის კონვერტაცია), რის შედეგადაც სახელმწიფო ხაზინა მეტად სერიოზული სავალუტო თანხით (დაახლოებით 100 მილიონი დოლარით) შეივსებოდა. საქმეში ყველა მეტ-ნაკლებად ჩახედულმა შესანიშნავად იცის, რომ მსგავს ოპერაციებს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები საკუთარი ეროვნული ხაზინის შევსების მიზნით მრავლად ატარებდნენ (იმ განსხვავებით, რომ სხვაგან ხაზინის ინტერესებს პოლიტიკურ ინტრიგებს არ სწირავდნენ). გეგმის ჩაშლის შემთხვევაში არსებობდა გარანტია იმისა, რომ ამ კოლოსალური თანხის ამსახველი ქაღალდით არავინ ისარგებლებდა, ე. ი. არ მოხდებოდა ბრუნვაში მისი ჩართვა, გადარიცხვა და ა. შ. ოპერაცია ჩაიშალა და უკლებლივ ყველა ქაღალდი ეროვნულ ბანკში დაბრუნდა. დაბრუნდა ისე, რომ ამ თანხის უმცირეს ნაწილსაც კი არსად „უტრიალია". შესაბამისად ამ ქაღალდის გამოწერითა და მთლიანად ამ ოპერაციის ჩატარების ცდით საქართველოს ხაზინას არც ერთი კაპიკი არ დაუკარგავს.

რაც შეეხება ხაზინისთვის მიყენებულ ზარალს, იგი სახელმწიფოსთვის ამ მეტად მნიშვნელოვანი ოპერაციის ჩაშლას მოჰყვა. არსებობს ცნობები, რომ პრაქტიკულად დასრულებული ღონისძიება საქართველოს სამთავრობო წრეების ჩარევის შედეგად ჩაიშალა. საქმის გამოძიებაში სპეცსამსახურების წარმომადგენელთა ჩართვა სწორედ ამის შესასწავლად მოვითხოვეთ, ზემოთქმულის დადასტურების შემთხვევაში ლაპარაკი იქნება საქართველოს წინააღმდეგ უდიდეს საბოტაჟზე, რომელიც მოსახლეობას დაახლოებით 100 მილიონი დოლარი დაუჯდა.

ისმის შეკითხვა: ვის შეიძლება ხელს არ აძლევდეს რესპუბლიკაში 100 მილიონი დოლარის შემოსვლა? ჩვენთვის ეს ხომ არნახული თანხაა. სახელმწიფოს ცოტა ხნით მაინც ამოსუნთქვის საშუალებას რომ მისცემდა, გადაწყვეტდა უმწვავეს სოციალურ პრობლემებს, მოხმარდებოდა სამართალდამცავი ორგანოების მოძლიერებას და უწესრიგობის აღკვეთას, შეიარაღებული ძალების აღჭურვას და, ვინ იცის, კიდევ რამდენი საკითხის გადაწყვეტას. არა მგონია, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტორი მხოლოდ იმის შიში იყო, რომ ეროვნულ ბანკს ამხელა გამარჯვება არ მიეწეროდა, თუმცა ამის შესახებ უფრო ქვემოთ მოგახსენებთ...

აი, ეს არის „მწვანეების მიერ გატაცებული მილიარდების" ისტორიის არსებითი მხარე. რაც შეეხება მთელი ამ ამბის პროპაგანდისტულ გაფორმებას, უნდა ვაღიაროთ, რომ აწ გადამდგარი მთავრობის უმაღლესმა ეშელონებმა მართლაც ვირტუოზულად გამოიყენეს ყოველივე ეს. ქრესტომატიული „შავი პროპაგანდის" ყველა მოთხოვნა ზედმიწევნით იყო დაცული: ცილისწამება აიგო სრულ სიცრუეზე. შეიქმნა „მილიარდების" პიკანტური „სკანდალით", გაითვალა გაღიზიანებული და გაჭირვებული ადამიანის ცნობიერებაზე. და აი, უკვე ორი თვეა, პრესა წერს ამ „მილიარდებზე" და ვიღას ახსოვს ის რეალური მილიარდები, რომლებიც კარგა ხანია ეროვნული ბანკიდან დაიკარგა, ვიღას ახსოვს ის ბენზინი და დიზელი, შეიარაღებული რაზმების თანხლებით უწყვეტ ნაკადად რომ მიედინებოდა საქართველოდან; ან — აფხაზეთში გაგზავნილი ათობით მილიარდის პროდუქცია, რომელსაც აფხაზეთამდე არასოდეს მიუღწევია, ან იარაღის შესყიდვაზე „დაკეთებული" მილიარდები, ან საქართველოდან გაზიდული მილიარდობით მანეთის ღვინო, ჩაი, კონიაკის სპირტი და მრავალი სხვა. უფრო მეტიც, იმ ხალხს, ვის ხელშიც გადიოდა და გადის საქართველოში ფულის „ტრიალის" რეალური სადავეები და პროდუქციის გატან-გამოტანა, საშუალება მიეცა მწვანეები „ამხილოს" კორუფციაში. ეს ყოველივე კომიკურიცაა, საოცრად ამორალურიც, მაგრამ, რაც მთავარია, მეტად ტრაგიკული, ვინაიდან ზედმიწევნით ასახავს იმას, თუ რად იქცა თანამედროვე ქართველი საზოგადოება.

რაც შეეხება სხვა ბრალდებებს, როგორიცაა მწვანეთა არაკომპეტენტურობა, მათი ექსტრემიზმი და სხვა მისთანანი, ამაზე ალბათ, სერიოზული ლაპარაკი არც კი ღირს. ჩვენ სულაც არ ვთვლით, რომ საქართველოს მწვანეები მსოფლიოში ყველაზე ორგანიზებული და მაღალპროფესიული პოლიტიკური ორგანიზაციაა, მაგრამ საქართველოს კვალობაზე მაინცდამაინც იმ პარტიის დადანაშაულება უწიგნურობაში, რომელშიც დასაბამიდან 40-ზე მეტი აკადემიკოსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი და დოქტორი მოღვაწეობს, მართლაც რომ ღიმილის მომგვრელია. შესაძლოა, განათლებით ჰიდროტექნიკოსს, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სპეციალისტს ბ-ნ მიხეილ ღოღობერიძეს სჯეროდეს, რომ ქართული გეოლოგიური სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი პროფესორი შოთა ადამია ეკოლოგიის საკითხებში არაკომპეტენტურია. ეს მისი პირადი საქმეა; მაგრამ ჩვენთვის ძნელია მკითხველს ავუხსნათ, თუ რატომ უნდა ჩაითვალოს კანალიზაციიდან მოსული კაცი გეოლოგიიდან მოსულ კაცზე უკეთეს გარემოსდამცველად. თუკი ვინმე თვლის, რომ ამაზე აქტუალური საკითხი დღეს არ გაგვაჩნია, მისი „გადაწყვეტა" ისევ ბ-ნი მიხეილისათვის და მისი მომრავლებული თანამოკალმეებისათვის მიგვინდვია.

რაც შეეხება მწვანეების ფინანსურ საქმიანობას, დარწმუნებული ვართ, არაკეთილმოსურნენი თავისთვის ვერაფერ საინტერესოს ვერ აღმოაჩენენ. საარჩევნო კამპანიის ხარჯთაღრიცხვა დაპირებისამებრ დიდი ხანია გამოქვეყნებულია და ყველა მსურველს შეუძლია მას გაზეთ „დედამიწის" 1992 წლის ნოემბრის 14 (31). ნომერში გაეცნოს!!! ნურც ნურავის „აღაშფოთებს" მწვანეების უცხოეთში „სიარული"! მერამდენედ ვაცხადებთ, რომ ყოველი ვიზიტი მომწვევი მხარის, ძირითადად ევროპარლამენტის და ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოთა პარლამენტების მიერ იყო დაფინანსებული. მთავრობის წევრთა ხშირი მივლინებებისაგან განსხვავებით, მწვანეთა საგარეო კონტაქტებზე საქართველოს არასოდეს არც ერთი კაპიკი არ დაუხარჯავს. პირიქით, უცხოეთში პარტიის წევრთა ყოფნისას მიღებული ანაზღაურება მწვანეთა ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ სერიოზულ წყაროს წარმოადგენს.

დიდი ხაზგასმით არ გვსურს შევეხოთ მთელს ამ ბინძურ კამპანიაში ზოგიერთი პოლიტიკური ორგანიზაციის წევრთა მონაწილეობას, ვინაიდან დარწმუნებული ვართ, რომ საზოგადოებას თავად ძალუძს დასკვნების გამოტანა. თუ ვინმეს მოსწონს პარტია, რომლის საქმიანობა წლების განმავლობაში განცხადებების კეთებითა და მათი გამოქვეყნებით შემოიფარგლება, ეს მისი პოლიტიკური გემოვნების საკითხია, ჩვენ ეს ნაკლებად გვაღელვებს. ამ საყოველთაო იმედგაცრუების პერიოდში, ჩვენი საზრუნავია ბოლომდე გავატაროთ ის პოლიტიკა, რომლის გამოც ადამიანები მხარს გვიჭერდნენ და რაიმე გაურკვევლობისათვის არ დავტოვოთ საფუძველი.

მწვანეებთან დაკავშირებული დავიდარაბა ზედმიწევნით რომ არ ასახავდეს საქართველოში მიმდინარე უკეთური პროცესებს, ალბათ არც ღირებოდა ამ რამდენიმე, თუ შეიძლება ითქვას, პიკანტური ხასიათის პასაჟის გამოქვეყნება. მწვანეთა „დასჯის", მათი დისკრედიტაციის კამპანია საოცრად ორგანიზებული, კარგად დაგეგმილი ოპერაციის ხასიათისა იყო (ვისაც სურს უფრო დაწვრილებით ჩასწვდეს მსგავსი ღონისძიებების ჩატარების ტექნიკას, ვურჩევ გადაიკითხოს მარკ რეინის შესანიშნავი ფელეტონი „როგორ [illegible]". ქართველი მკითხველი, დიდ სიამოვნებასთან ერთად განუზომელ პრაქტიკულ გამოცდილებასაც შეიძენს). ვინ იყო ამ გეგმის ავტორი? — ის, ვინც დღეს საქართველოში ყველაზე რეალურ ძალას წარმოადგენს — ქართული ეროვნული მაფია.

ხშირად [illegible], რომ აფხაზეთის უმწვავესი პრობლემით გართულებს, აფხაზეთში ომით, პარლამენტში კი პოლიტიკური ალიაქოთით გაბრუებულებს, ყურადღების მიღმა გვრჩება ის მთავარი პროცესი, ჩვენს ქვეყანაში რომ მიმდინარეობს — საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცია

აზი საქართველოში?!

თელი მტკიცედ დაადგა კლანურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გზას!

დედამიწის ზურგზე ათობით მსგავსი ქვეყანა არსებობს. მათაც გააჩნიათ არჩეული პარლამენტები და მთავრობები, ლამაზად დაწერილი კონსტიტუციები და კანონები, ღერბები და ეროვნული დროშები. მაგრამ ამ სახელმწიფოებში არავინ ცხოვრობს იმ კანონებით, არც არავინ ელოდება გადაწყვეტილებებს არჩეული პარლამენტებისაგან. ყველამ იცის, თუ სად არის რეალური ძალაუფლება — ეკონომიკის რომელ სფეროს რომელი კლანი აკონტროლებს, ვინ არის დაახლოებული პირი ამა თუ იმ კლანის ბოსთან, როგორ მიმდინარეობს თითოეულ კლანს შორის ურთიერთობანი და ა. შ. კლანების გავლენა ეკონომიკის ამა თუ იმ სფეროზე შესაბამისი შეიარაღებული დაჯგუფებების არსებობითაა განმტკიცებული, რომლებსაც ნახევრადოფიციალური სტატუსი გააჩნიათ. თუ ქვეყანაში რამდენიმე ტომი სახლობს, კლანებს თითოეულ მათგანზე აქვთ გავლენა განაწილებული.

ამგვარ სახელმწიფოებში გამორიცხულია რაიმე სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროგრესი. მათ განვითარებაზე გამოყოფილი მილიარდობით დოლარის დახმარება და სესხები მოსახლეობამდე არასოდეს აღწევს და კორუფციის საცეცებში იკარგება. ამ ქვეყნებში არ არსებობს ეროვნული ინტერესების ეროვნული უსაფრთხოების ცნება. ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა, რაც უნდა მნიშვნელოვანი იყოს იგი სახელმწიფოსათვის და ხალხისთვის, მხოლოდ ქრთამისა და „ჩაწყობის" გზით მიმდინარეობს. ამგვარ ქვეყნებში არასოდეს მოქმედებს საბაზრო ურთიერთობათა გაცხადებული პრინციპები, ვინაიდან სამეურნეო ცხოვრების ყველა სფერო (პირველ რიგში კი ბენზინითა და ხორბლით ვაჭრობა, ნარკობიზნესი) კონკრეტული კლანის მიერაა მონოპოლიზებული და თავისუფალი ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი — შეუზღუდავი კონკურენცია — მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. საზოგადოებრივი ცხოვრების ამგვარ წესს სრულიად განსაზღვრული შედეგები მოაქვს: მოსახლეობის უდიდესი მასის სრული გაღატაკება მასობრივი შიმშილობის ჩათვლით; ადამიანური ღირსების ცნების ამოშლა საზოგადოებრივი ცნობიერებიდან; ყოველგვარი ზნეობრივი და კულტურული ბარიერის განადგურება; ბანდიტიზმი და კაცთა კვლა, როგორც ყოველდღიური ცხოვრების წესი. კლანური საზოგადოებების ელიტა მდიდრდება არა რაიმე ფასეულობათა შექმნის, არამედ საკუთარი მოსახლეობის უსაზღვრო ძარცვის ხარჯზე.

ჯერ კიდევ ორიოდე წლის წინათ ამგვარი ტიპის სახელმწიფოებს მსოფლიო ლიტერატურაში სამხრეთ-ამერიკულად მოიხსენიებდნენ. მაგრამ დღეს ქართველებს რეალური შანსი მოგვეცა, რათა კოლუმბიისა თუ ჰონდურასის გამოცდილება დავჩრდილოთ და კიდევ ერთხელ განვაცვიფროთ მთელი სამყარო.

რამ განაპირობა ჩვენი ესოდენ დიდი „წარმატება" ამ მიმართულებით? საამისოდ თანმიმდევრულად იქმნებოდა საფუძველი ბოლო ათწლეულების განმავლობაში. 50-იანი წლების ბოლოდან კორუფციამ არნახულ აყვავებას მიაღწია. გაჩნდა ადამიანთა ფართო წრე, რომელმაც აითვისა ცხოვრების პრინციპულად ახალი წესი — ქრთამით, მოტყუებით, ქურდობითა და მოსყიდვით ნებისმიერ პრობლემათა გადაჭრა. კორუფციამ მოიცვა პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოებრივი სტრუქტურა. ჩვენში ამ პროცესს ხშირად ამყობდნენ, ვინაიდან საბჭოთა სისტემის პირობებში, უზარმაზარი სანედლეულო ბაზის არსებობისას, იგი უზრუნველყოფდა ცხოვრების დონის შედარებით ზრდას, კეთილდღეობის გარკვეული განცდის შექმნას. ხოლო იმას, თუ რის ფასად უჯდებოდა ეს ქართველ საზოგადოებას, მცირერიცხოვანი ინტელექტუალური ჯგუფები თუ აცნობიერებდნენ. ფასი კი განუზომლად დიდი აღმოჩნდა — საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ღირებულებათა სისტემის სრული დეფორმაცია, სოციალური სტრუქტურის, ურთიერთობათა წესის სიღრმისეული ცვლილებები.

ეროვნული მოძრაობის მძლავრი ტალღის აგორებამ გარკვეული იმედი ჩაუსახა საზოგადოებას. გულუბრყვილობა იქნებოდა იმის დაუნახაობა, რომ ამ მოძრაობაში ფართო ფენების ჩართვა ხდებოდა არა მხოლოდ ნაციონალისტური მოტივებით, არამედ არსებული კორუმპირებული ბიუროკრატიული სისტემის პროტესტის ნიშნადაც. ათასობით ადამიანმა რეალურად დაიჯერა, რომ შეიცვლებოდნენ არა მხოლოდ ქვეყნის პირველი პირები, არამედ ის ადამიანებიც, ვისზეც არის დამოკიდებული მათი ყოველდღიური პატარა თუ დიდი პრობლემების გადაწყვეტა, რომ პროფესიონალ ჩინოვნიკსა და ბიუროკრატს (რომლის პროფესიონალიზმი ძირითადად ჰალსტუხის სწორად შერჩევითა და სათანადო ხმის ტემბრის დაყენებით გამოიხატება) შეცვლიდა საქმის პროფესიონალი.

სამწუხაროდ, მსგავსი არაფერი მომხდარა. მრავალათასიანი მიტინგებით მსუბუქად შეშინებულებმა, საბჭოური კორუფციის ტრადიციებში გამობრძმედილმა მაფიურმა წრეებმა, სწრაფად აუღეს ალღო ახალ ვითარებას. დასკვნა მარტივია — საჭირო იყო კორუფციის წრეში ახალ მოქმედ პირთა სასწრაფო ჩათრევა. ასეც მოხდა. ცვლილებები ძირითადად იმით შემოიფარგლა, რომ დახვეწილი და შედარებით გამაძღარი ბიუროკრატი ალაგ-ალაგ შეცვალა მშიერმა და მოუხეშავმა ნაციონალ-პოპულისტმა ლიდერებმა, ლოზუნგების ყვირილითა და ახალ-ახალი „აქციების" მოფიქრებით რომ იყვნენ დაკავებულნი, მსგავს „წვრილმანს" ყურადღება არც მიაქციეს. მით უფრო, რომ მათაც სჭირდებოდათ ადამიანები, ვინც, თუნდაც ძველი ხრიკებით ხალხს ჩააცმევდა, დაახურავდა და აჭმევდა, სანამ ისინი მიტინგზე გამოსასვლელ სიტყვას მოამზადებდნენ.

თვისობრივი ცვლილებები მოჰყვა 1992 წლის იანვრის მოვლენებს, რომლებთაგან გამოვყოფთ სამ ძირითად ტრაგიკულ შედეგს: პირველი — სახელისუფლებო სტრუქტურების, სახელმწიფო ინსტიტუტების სრული და საბოლოო დაშლა-განადგურება. მეორე — თავისი არსით არასახელმწიფოებრივ შეიარაღებულ ფორმირებათა არსებითი დაკანონება, მორალური საფუძვლის შექმნა მათი გაძლიერებისა და შენარჩუნებისათვის (გამარჯვებულს არ ასამართლებენ). მესამე — ახალი მმართველების გარშემო მეგობრთა მთელი არმიის გაჩენა, რომელთაც მნიშვნელოვანი სახსრები ჰქონდათ ჩადებული აჯანყებაში, და რომელნიც მოითხოვდნენ ვალების დაბრუნებას დიდძალი პროცენტებით (ამ და ზოგიერთ სხვა მიზეზთა გამო, წინასწარმეტყველებდნენ რა დამღუპველ შედეგებს, მწვანეები კატეგორიულად მიუღებლად მიიჩნევდნენ მოვლენათა რევოლუციურ განვითარებას, რაზეც 1991 წლის 22 დეკემბერს გავრცელდა შესაბამისი განცხადება).

მაფიური კლანების სწრაფი ჩამოყალიბებისათვის უკეთესი პირობები ძნელი წარმოსადგენია. ისტორიაში შემთხვევითობები, სამწუხაროდ, მეტად იშვიათად ხდება. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველო გახდა. სულ ორიოდე წელიწადში აღმოვაჩინეთ საკუთარი თავი ახალ თვისობრიობაში — საზოგადოებაში, რომელსაც პრაქტიკულად კლანური კლანები მართავენ და სადაც თითქმის არ არსებობს ძალა, რომელსაც უნარი აქვს აღუდგეს მათ თარეშს.

პროცესი ჯერაც არ არის დასრულებული. ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერება ჯერჯერობით არ შეჰგუებია მაფიის არსებით ლეგალიზაციას, საკმაოდ გავლენიანია ის პოლიტიკური ძალები (ხშირად ურთიერთდაპირისპირებული), რომლებიც ტრადიციული დემოკრატიის ღირებულებებზეა დაფუძნებული. ჯერ არ გადაწყვეტილა ქვეყანაში რადიკალური ეკონომიკური რეფორმის ჩატარების იმედი, რამაც ახალი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ობიექტური საფუძველი უნდა შექმნას. ასე რომ, ჩვენ ჯერ ისევ გზის გასაყართან ვდგავართ და არჩევანის გაკეთების საშუალება გვრჩება: თავი დავაღწიოთ კორუფციის მარწუხებს და წავიდეთ დასავლური დემოკრატიის განვითარების მაგისტრალური გზით, თუ საქართველოში კლანური საზოგადოების საბოლოო ჩამოყალიბებას შევეგუოთ?

სწორედ ამ სიბრტყეში ვხედავთ ჩვენში არსებული კონფრონტაციის ძირითად ხაზს. უკანასკნელ წელიწადნახევარში ნათლად გამოიკვეთა, რომ წრეებმა, ვისთვისაც სახელმწიფოებრივი სტრუქტურების აღდგენა-ამოქმედება ყველანაირი გავლენის დაკარგვის ტოლფასია, მკაფიოდ გააცნობიერეს საკუთარი ინტერესები, ისწავლეს პოლიტიკური თუ ეკონომიკური ლოზუნგებით მანიპულირება, მოსახლეობის დაბნეულობის გამოყენება და გადავიდნენ მეტად ორგანიზებულ მოქმედებაზე. სამწუხაროდ, ვერანაირი ორგანიზებულობით ვერ დაიკვეხნიან საპირისპირო ძალები. რომლებიც ხშირად მეორეხარისხოვან საკითხებთან დაკავშირებით ერთმანეთთან დავასა და პაექრობას უნდებიან, ნათლად ვერ ხედავენ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ძირითად პრიორიტეტებს (ამ საყვედურს სხვებზე არანაკლებ, ჩვენც, მწვანეებიც ვიმსახურებთ).

ამ წერილის ძირითადი პათოსიც სწორედ ის გახლავთ, რომ დავასაბუთოთ: — დღეს საქართველოში არ არსებობს კორუფციის, მაფიური სტრუქტურების ალაგმვაზე მნიშვნელოვანი ამოცანა! არსებითად ეს არის ჩვენი სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი. შესაძლოა, ბევრს გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ იმ პრობლემათა უმეტესობის მოგვარება, რომლებიც დღეს უკიდურეს ვნებათაღელვას იწვევენ, დროთა განმავლობაში ასე თუ ისე შეიძლება. შეიძლება, მაგრამ თუ საზოგადოება საბოლოოდ უარყოფს წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპებს, ურთიერთობები აიწყობა საყოველთაო კორუფციისა და დაკანონებული უკანონობიდან გამომდინარე, და ამ სულისკვეთებით აღიზრდება ჩვენი თანამოქალაქეების თაობები, ამის შეცვლა შეუძლებელი გახდება მრავალი ათწლეულის განმავლობაში. საერთაშორისო გამოცდილება პრაქტიკულად არ იცნობს კლანური საზოგადოების დემოკრატიულ ყაიდაზე ტრანსფორმაციის შემთხვევებს. ის, რასაც ჩვენ ასე შევნატრით — საყოველთაო კეთილდღეობა, პოლიტიკური თუ ეკონომიკური წარმატებანი, სტაბილური და მშვიდობიანი განვითარება — მხოლოდ დემოკრატიულ სახელმწიფოთა კუთვნილებაა. მსოფლიოს უდიდესი ნაწილი, ის ხალხები, რომელთაც საკუთარი თვითმოწყობის საკითხები ვერ გადაჭრეს, დღითიდღე უკან მიდიან, მუდმივი ომიანობისთვის, შფოთისთვის, სიღატაკისა და შიმშილობისთვის არიან განწირულნი. ამის ყველაზე გამხმარებული და ჩვენთვის მეტად აქტუალური მაგალითია თუნდაც იგივე სომალი.

არის თუ არა გამოსავალი? — ჯერ კიდევ არის, მაგრამ ის მეტად რთულია და მოითხოვს არა მხოლოდ ხელისუფლებისა და მისი მეთაურის გადამჭრელ ღონისძიებებს, არამედ მთელი საზოგადოების მობილიზებას.

ხელისუფლების საქმეა ქვეყანაში წესრიგისა და კანონიერების აღდგენა, მშვიდობის დამყარება და ამ ფონზე რადიკალური ეკონომიკური რეფორმის გატარება. დაყოვნება და სერიოზულ ზომათა მიღების შემდგომი გადადება დაუშვებელია. ამისათვის არ გამოდგება მსხვილ თუ შედარებით წვრილ პოლიტიკურ და გასამხედროებულ დაჯგუფებებს შორის ბალანსირების პოლიტიკა. დემოკრატიული წყობის დამყარება მხოლოდ მანიფესტებით, შეგონებებითა და მოწოდებებით შეუძლებელია. ხელისუფლების დემოკრატიულობა გაიზომება არა დიალოგებში გატარებული საათების რაოდენობით, არამედ იმით, თუ რამდენად იქნება დაცული ქვეყნის მოქალაქეთა სიცოცხლის უსაფრთხოება და მათი ქონების ხელშეუვალობა; უზრუნველყოფილი თავისუფლება და კეთილდღეობა. საამისოდ კი უნდა აღდგეს და ნორმალური ფუნქციონირება დაიწყოს სახელმწიფო სტრუქტურებმა, პირველ ყოვლისა სამართალდამცავმა ორგანოებმა. დღევანდელი შექმნილი ქაოსის მოწესრიგება შეუძლებელი იქნება მანამ, სანამ სრული დაუსჯელობის სინდრომი იარსებებს, საზოგადოებამ უნდა დაინახოს, რომ ყაჩაღი, ხაზინის ქურდი, დივერსანტი და მოძალადე კანონის მთელი სიმკაცრით აგებს პასუხს. აი, ეს იქნება წესრიგის აღდგენის რეალური დასაწყისი.

ყველა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ და ლიდერმა უნდა გააცნობიეროს, რომ სახელმწიფოებრივ სტრუქტურათა აღდგენასა და მაფიების პარპაშის აღკვეთაზე მნიშვნელოვანი ამოცანა დღეს არ არსებობს. უნდა ჩამოყალიბდეს რეალური პოლიტიკური კოალიცია არა პიროვნული ნიშნის მიხედვით, როგორც დღემდე ხდებოდა, არამედ კონკრეტული პროგრამის, პირველ ყოვლისა, ეკონომიკური პროგრამის გარშემო და დაიწყოს ჭეშმარიტი რეფორმების გატარება. ამას, პოლიტიკურ ძალთა აქტიური მხარდაჭერის გარეშე ვერანაირი სახელმწიფოს მეთაური ვერ მოახერხებს. გვახსოვდეს, რომ უაზროდ დარჩება განცხადებები და დემარშები, რომლებიც უკვე მომავალი წინასაარჩევნო კამპანიების ანგარიშით კეთდება. ვინაიდან თუ ასე გაგრძელდა, შემდეგი არჩევნები ერთიან ქართულ სახელმწიფოში აღარ ჩატარდება!

ვიცით, რომ სიცოცხლისუნარიანი და ჯანსაღი პოლიტიკური კოალიციის ჩამოყალიბება, მასთან უპარტიო კომპეტენტური კადრების მოზიდვა, დღევანდელ ვითარებაში უკიდურესად გაძნელდება მაგრამ გამოუვალმა მდგომარეობამ, ალბათ, უჩვეულო, არაორდინალური და ძნელად გადასადგმელი ნაბიჯებისაკენ უნდა გვიბიძგოს.

და ბოლოს, ყოველი ცდა უშედეგო იქნება, თუ თავად მოსახლეობა არ გააცნობიერებს იმ საშიშროებას, რომლის წინაშეც აღმოჩნდა სახელმწიფო და ხალხი. საქართველო ჯერ არ გამხდარა ქვეყანა, სადაც გადატრიალებებისა და ფართომასშტაბიანი არეულობის მოწყობა შესაძლებელია საზოგადოებრივი აზრის მომზადების, გარკვეული პოლიტიკური „საფარველის" შექმნის გარეშე. ამიტომაც იქცევა დესტრუქციული წრეების მხრიდან ესოდენ დიდი ყურადღება პოლიტიკურ სპეკულაციებს, ხალხის დეზორიენტაციას, საღი ძალების დისკრედიტაციას. არადა, არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს იმის ამოცნობა, თუ ვის რა ამოძრავებს. საქართველოში ჯერჯერობით ყველაფერი ხომ საკმაოდ გამჭვირვალეა.

არ არის აუცილებელი საჭირო თავისუფლებისა და ღირსების, დემოკრატიის დასაცავად იარაღით ხელში ქუჩაში გამოხვიდე. ხშირად საკმარისია უბრალოდ, არ მოტყუვდე!

ზურაბ ჟვანია.

P. S. მაფია თუ სახელმწიფო — აქ გადის ფრონტის მთავარი ხაზი საქართველოში. აფხაზეთი, ცხინვალი, ურთიერთობები რუსეთთან, ძალადობა თბილისში — ამ პრობლემებს თხემით ტერფამდე კორუმპირებული და გახრწნილი საზოგადოება ვერასოდეს გადაწყვეტს. არა მაქვს ილუზია, რომ ამ ერთი პუბლიკაციით მაფიის კარგად აწყობილი, დამანგრეველი მანქანის შეჩერება შესაძლებელი იქნება. ვიცი, რომ ნაცად მეთოდებს არც ახლა დაივიწყებენ და ამ სტატიას მრავალი საპასუხო დარტყმა მოჰყვება, მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლა დაწყებულია და მჯერა, რომ ამ ბრძოლაში მწვანეები მარტონი არ ვიქნებით.

ზ. ჟ.

საქართველოს იურისდიქცია მთელ აფხაზეთში უნდა აღდგეს

ლტოლვილთა შეკრების რეზოლუცია

თბილისში გაიმართა აფხაზეთიდან ლტოლვილთა შეკრება, რომლის მუშაობაში სამი ათასამდე კაცი მონაწილეობდა. მათ მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ძირითადად მხარს უჭერენ ქალაქ სოჭში ხელმოწერილ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

კრების მონაწილეთა მიერ მიღებულ რეზოლუციაში ჩამოყალიბებულია შემდეგი მოთხოვნები:

1. საქართველოს იურისდიქციის აღდგენა აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე.

2. საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან საქართველოს სახელმწიფოს, მისი ერთიანი ტერიტორიის ცნობის საფუძველზე დაუყოვნებლივ აღდგეს საქართველოს საზღვარი რუსეთთან მდინარე ფსოუზე გაივლის სადემარკაციო ხაზი.

3. საქართველოს ხელისუფლებამ განახორციელოს თავისი პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილება, რომლის თანახმად აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორია დატოვონ უცხო ქვეყნის საჯარისო ნაწილებმა.

4. აფხაზეთის ტერიტორიაზე დარჩნენ მხოლოდ გაეროსადმი დაქვემდებარებული საჯარისო ნაწილები.

5. სამხედრო მმართველობის შემოღება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარებამდე.

6. არჩევნების ჩატარებამდე აფხაზეთში შეჩერდეს ყველა კოლექტიური პარტიისა და საზოგადოების მოქმედება, ხოლო არჩევნების შემდეგ განხილულ იქნას კანონპროექტი მათი ფუნქციონირების შესახებ.

7. დათხოვნილ იქნას აფხაზეთის უზენაესი საბჭო, როგორც არაკანონიერად არჩეული.

8. ბათილად იქნეს გამოცხადებული ყველა საკანონმდებლო აქტი, რომლებიც მიიღო აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ კანონების უხეში დარღვევით.

9. აფხაზეთის მინისტრთა საბჭო გადადგეს სრული შემადგენლობით.

10. აღდგეს ომისწინანდელი პერიოდის სახელწოდებები ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეცვლილი ტოპონიმიკა.

11. საქართველოს ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ წარმოადგინოს ლტოლვილების დაბრუნების გრაფიკი, რომელიც განხორციელდება ზუსტად დროით დადგენილ ვადებში, საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების სრული გარანტიით.

12. დაუყოვნებლივ აღდგეს დემოგრაფიული ბალანსი აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, რომელიც არსებობდა 1992 წლის 14 აგვისტომდე. აფხაზეთს მთლიანად დაუბრუნდეს მისი მკვიდრი მოსახლეობა, ხოლო იმ პიროვნებებმა, რომელთაც არ ეკუთვნოდათ აღნიშნულ ტერიტორიაზე 1992 წლის 14 აგვისტომდე, დატოვონ ეს ტერიტორია.

13. მსჯავრდებულ იქნენ ყველა ის პირნი, რომელთა ქმედებების შედეგად საქართველომ განიცადა აგრესია უცხო ქვეყნის მხრიდან, დაირღვა მისი ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო სუვერენიტეტი, განხორციელდა გენოციდი ქართული მოსახლეობისა გუდაუთისა და გაგრის რაიონებში.

14. საერთაშორისო სამართლებრივ სახელმწიფოს თუ პირებს მოეთხოვოს იურიდიული პასუხისმგებლობა აგრესიის შედეგად მიყენებული პოლიტიკური და მატერიალური ხასიათის ზარალის ანაზღაურებაზე, თანახმად საერთაშორისო სამართლის წესებისა.

15. აფხაზეთის სტატუსი განისაზღვროს საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში კონსტიტუციის შექმნის პროცესში, საქართველოში არსებული ყველა პოლიტიკური ძალების მონაწილეობით.

ქვეყანას მეწარმე გადაარჩენს,

ანუ ამბავი ერთი ფირმისა

რედაქციაში უცნობი გვეწვია.

— ხვთისო ჩერქეზიშვილი გახლავართ. მაღაროდან. ალბათ, იცით, იგი სიღნაღის რაიონში ერთ-ერთი ღონიერი სოფელია. აქ დავიბადე და გავიზარდე, მისი ძირძველი მკვიდრი გახლავართ. ძალიან უსამართლოდ მომექცა სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ბეგიაშვილი. სასამართლო პროცესი ისე დაამთავრა, მხოლოდ ორიოდე შეკითხვა მომცა, ისიც უმართებულო. ეგ იყო და ეგ. დიდი სურვილი მქონდა, სარჩელთან დაკავშირებით მეთქვა რამე, მაგრამ ხმა არ ამომაღებინა.

— ვერ გავიგე, რატომ ან ვინ გიჩივლათ? იქნებ დაწერილი გაქვთ, დაგვიტოვეთ და გიპასუხებთ...

ხვთისო ჩერქეზიშვილის საკმაოდ სქელტანიანი განცხადება ადგილზე შევისწავლე. შრომას იგი ბავშვობიდან შეჩვეულა. ასე, რომ თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი მას შემთხვევით არ აურჩევია... დაამთავრა და მშობლიური სოფლის ძახილი შემოესმა, აღარ დაყოვნა, მაშინვე იქით გაეშურა... ჯერ მევენახეობის ბრიგადას ჩაუდგა სათავეში, შემდეგ კი მევენახეობისას, თან ასპირანტურაში შესვლაზე ოცნებობდა.

ხვთისო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრაზე არსებული ასპირანტთა მოსამზადებელი ჯგუფის თავისუფალი მსმენელი გახდა. მოხდა ისე, რომ უნივერსიტეტის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრაზე შესთავაზეს თემა: — „კახეთის რეგიონის ვენახების ფართობების ჯიშობრივი შემადგენლობა და მათი შედარებითი ეკონომიკური დასაბუთება".

ასე და ამგვარად, 1979 წლიდან, ხვთისო ჩერქეზიშვილი უნივერსიტეტის მაძიებელი გახდა. უკანდასახევი გზა არ იყო. პრაქტიკულ საქმიანობას იგი გაორკეცებული ენერგიით შეუდგა. სათანადო დოკუმენტების საფუძველზე მშობლიური სოფლის კოლმეურნეობის მიწაზე დააარსა „ივრისა" და „ვაკის" საწარმოო-საცდელი ნაკვეთები. იორზე ნერგი უნდა გამოეყვანა და „ვაკეში" ვენახი გაეშენებინა.

ამასობაში გამოჩნდა საბჭოთა კავშირის დაშლის პირველი ნიშნები. როცა გაისმა სიტყვა „პრივატიზაცია", ხვთისომ მოსალოდნელ ვითარებას უცებ აუღო ალღო. მიხვდა, დაწყებული საშვილიშვილო საქმე ბოლომდე რომ მიეყვანა, უნდა ყოფილიყო მეცნიერიც, ტრაქტორისტიც, უნდა ჰქონოდა წარმოების საკუთარი საშუალებანი და იურიდიული პირიც გამხდარიყო.

მართლაც, მან ახალი დროის კარნახით იმოქმედა და 1990 წლის მაისში, მაღაროს კოლმეურნეობის გამგეობასთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლითაც, ახლა უკვე კოოპერატივ „ნერგს", 10 წლის ვადით გადაეცა 20 ჰექტარი მიწა, ყოფილი სასათბურე მეურნეობის შენობა და მევენახის სახლი.

კოოპერატივ „ნერგს", (ამჟამად ფირმა „ნერგს") უკვე ჰქონდა წარმოების მთავარი საშუალება — მიწა. მაგრამ მასთან, შიშველი ხელებით შეჭმა ადვილი არ იყო. ამიტომ, სახელმწიფო და კერძო ბანკებისაგან სესხი აიღო, რათა ტექნიკა შეეძინა.

მოისურვა გამჩენმა და ერთ დღესაც ხვთისო შინ ახალი ტრაქტორით დაბრუნდა, მას მოჰყვა მეორე, მესამე, მოძრავი სახელოსნო, გუთნეული, საფარცხი, სათესი ტრაქტორების მისაბმელები. ერთი სიტყვით, კოოპერატივის კვალობაზე საკმაოდ ღონიერი ავტო-სატრაქტორო პარკი შექმნა.

ამის შემდეგ, „ივრის" საცდელი ნაკვეთისათვის მოსვენება აღარ მიუცია. მიწის მადლი აშკარად დაეტყო „ნერგის" ეკონომიკას. ამიტომ, ზოგიერთებს ეგოისტურმა გრძნობამ და შურმა შეიპყრო. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ ხვთისოსთვის ხელი შეეშალათ.

ჯერ კიდევ 1990 წელს, 10 სექტემბერს მან სამ ჰექტარ ვენახში ჩაატარა აპრობაცია. აქ საკვირტე მასალა უნდა აეჭრა, მაგრამ ბრიგადირებმა ს. შინჯიაშვილმა და ა. ჩერქეზიშვილმა მაძიებელს სხვლის დაწყება არ შეატყობინეს და კვირტის აჭრა ვერ მოახერხა...

ხვთისოს ფარხმალი მაინც არ დაუყრია, მიწა არ მოუცდენია. იმ წელიწადს „ივრის" საცდელ ნაკვეთში, სათოხნი და თავთავიანი კულტურების სარეკორდო მოსავალი მოიყვანა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ხვთისოს ოჯახში მომსვლელი გამრავლდა, გაჭირვებული კაცი კოლმეურნეობაში კი არა, მასთან მოდიოდა. ისიც შეძლებისდაგვარად, ყველას ხელს უმართავდა, უკმაყოფილოს არავის გაუშვებდა. იმას კი ვეღარ იფიქრებდა, რომ ერთ დღესაც მის კარებს მეცხვარეობისა და მეძროხეობის ფერმის არენდატორები მოადგებოდნენ.

— ცხვარ-ძროხას ძალიან გაუჭირდა. ფარა ერთიანად შიმშილით ამოწყდება. შენს იქით გზა არა გვაქვს. თივა უნდა მოგვცე და ჩვენ სამაგიეროდ ნამჯას დაგიბრუნებთ.

— უარს ღმერთი არ მაპატიებს, — ღიმილით უპასუხა ხვთისომ და სტუმრები შინ მიიწვია...

მეორე დღესვე მან საკუთარი ტრანსპორტით (კოლმეურნეობას საწვავი არ ჰქონდა), 29 ტონა აბრეშუმივით თივა მიიტანა ფერმაში. დაცალა ტრაქტორის მისაბმელი ძარა და ფერმის მუშაკებს უთხრა, ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროთო. კოლმეურნეობას 42 ტონა სამაგიერო ნამჯა დღესაც არ მიუცია, მაგრამ ხვთისოს ეს ამბავი აინუნშიც არ ჩაუგდია, იფიქრა, ნამჯის ღირებულებას ვალში გამიშრიანო...

ამასობაში კოლმეურნეობის თავმჯდომარე თამაზ გურაშვილი, დავით ჯანიკაშვილმა შეცვალა. მას შემდეგ მაძიებელი ბევრ უსიამოვნებას გადაეყარა. თავმჯდომარე მაინც ძალიან აქტიურობდა და მას ხშირად ავიწროებდა.

ხვთისოს „ივრის" საცდელ ნაკვეთში ვაზის ნერგის საკვირტე და საძირე მასალის შესანახად ალაზნიდან (25 კილომეტრია) მოტანილი ჰქონდა ლამი. ერთ დღეს თავმჯდომარემ ეს ლამი გარეთ გადმოუყარა, სათბური მე მჭირდებაო. არადა, იგი ხელშეკრულებით უკვე ფირმა „ნერგის" საკუთრება იყო.

უფრო მეტი, ფირმის ტექნიკის გამოყენება მოისურვა, როგორც

ახალ საქმეს ხელშეწყობა სჭირდება

კოლმეურნეობისას იყენებდა. მაგრამ, რომ იტყვიან, ფეხი არ ჩაუვიდა.

ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, როცა საქმე სოფლის ინტერესებს ეხებოდა, ხვთისო მზად იყო „სისხლი გაეღო". როცა კოლმეურნეობამ პრივატიზებული მიწების მოხვნა ვერ შეძლო, ეს საქმეც მან დააგვირგვინა.

მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმ დიდი სიკეთის თაობაზე, რაც ხვთისოს სოფლისთვის გაუწევია და რაც განზრახული ჰქონდა, თუნდაც ის, რომ საპრივატიზაციო კომისიის სხდომაზე მან ხმამაღლა თქვა: — მზად ვარ ხვალვე სოფლის საბავშვო ბაღს ხბოიანი მეწველი ფური ვაჩუქო, რომ პატარებს ყოველდღე ჰქონდეთ რძე.

ეს ლიტონი სიტყვები არ იყო, ამის საშუალება ჰქონდა. ოჯახში ყველა შრომობს. მეუღლე ლამარა და ქალიშვილი თამარი მედიცინის მუშაკები არიან, მაგრამ როცა საჭიროა, არც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებაზე იხევენ უკან. უფროსმა შვილმა კახამ კი ღვინის ტექნოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა: ღვინის ქარხანაში მუშაობს. ვახტანგი, უმცროსი შვილი, მერვე კლასის მოსწავლეა, მაგრამ როცა საჭირო ხდება, ორივენი ხელებს დაიკაპიწებენ ხოლმე, ვაჟკაცურად შრომობენ.

მერე ხვთისო ფირმის მომავალზე, ოცნებობდა, მაგრამ რა გამოვიდა, — კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი. წლეულს, მარტში, მან ოფიციალური წერილი მიიღო, დავით ჯანიკაშვილი უგზავნიდა, — „მაღაროს კოლმეურნეობის გამგეობა გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ 1990 წელს მაღაროს კოლმეურნეობასთან დადებული ხელშეკრულება, ვაზის უნიკალური ჯიშების გამოყვანასთან დაკავშირებით, გაუქმდა 1993 წლის 25 თებერვალს რწმუნებულთა საანგარიშო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე... (სტილი დაცულია).

ამ წერილის გამო მაძიებელს მწარედ გაეცინა. ჯერ გაუკვირდა, კრებაზე რატომ არ დამიძახესო, მერე მიხვდა, რომ თავმჯდომარეს უკვე აშკარად შეუტია. შეუთვალა, მიწა მე კანონიერად გადმომეცა და თქვენი საკუთარი სურვილის გამო არ დავთმობო.

განაწყენებულმა თავმჯდომარემ წერილი ახლა სიღნაღის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსს მისწერა. დახმარება სთხოვა, აიძულეთ ჩერქეზიშვილი, რომ კოლმეურნეობის ყოფილი ნაკვეთი დააბრუნოსო...

წერილი უბნის ინსპექტორს მერაბ ონანაშვილს გადაუგზავნეს.. დავით ჯანიკაშვილმა მას ხვთისოს დაპატიმრება დაავალა (?!)...

— უბატონოდ ხმასაც ვერ გავცემ. მიწა მას კანონიერად აქვს მიღებული. თუ სხვა რამე გაქვთ სადავო, სასამართლოს მიმართეთ. — ურჩია თავმჯდომარეს უბნის ინსპექტორმა.

ჩიტი აფრენაზე იყო და ხელის აქნევას ელოდებოდა. დავით ჯანიკაშვილმა მართლაც აღძრა სარჩელი სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლოში, რომელიც ძალზე ცალმხრივად არის დაწერილი. ხვთისო სასარჩელო განცხადებას გაეცნო და ზუსტად ისე მოიქცა, როგორც ამას საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 52-ე და 69-ე მუხლები ითვალისწინებს, — სასარჩელო განცხადების პასუხად და საქმეზე დასართავად, შეაგროვა სათანადო დოკუმენტები. სამწუხაროდ, ეს არ მოხერხდა, ისინი არ დაიტოვეს.

ბატონო მოსამართლევ! იმ დოკუმენტებში ცალი თვალით მაინც რომ ჩაგეხედათ. შეიტყობდით, რომ სოფელ მაღაროს კოლმეურნეობის გამგეობას თავისი მიწები ვერ მოუხნავს, ვერ დაუთესია, და არც „ნერგს" აძლევს ამის საშუალებას. „საყდრის ხევის ნაკვეთში" (მგონი, ასე ჰქვია), 70 ჰექტარი შარშან შემოდგომაზე მოიხნა, წლეულს გაზაფხულზე გადაიხნა. მერე ვითომ სიმინდი დაითესა, მაგრამ ახლა აქ სიმინდს წამლადაც ვერ ნახავთ და მხოლოდ სარეველა ბალახი ბიბინებს.

ასევე „ნეემარშიც" ათეულობით ჰექტარი დაუთესავია. მოუხნავი დარჩა მოსახლეობის პრივატიზებული მიწების ნაწილი. რომ იცოდეთ, კოლმეურნეობის გამგეობამ მოსახლეობას მოხვნის ღირებულება, ჰექტარში 1000 მანეთი (მაშინ მანეთები იყო) გადაახდევინა. ფირმა „ნერგი" კი მათ უსასყიდლოდ უხნავდა. ამასთან, იგი ერთ-ერთი მეწარმეა რესპუბლიკაში, რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქციას საკუთარი ძალებით აწარმოებს. აბა გაიხსენეთ, 1990 წელს ხვთისო თქვენთან მოვიდა, სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკებს უსასყიდლოდ შემოგთავაზათ კარტოფილი. თქვენს გარდა, იგი რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებაში, პრეფექტურაში და სხვა ორგანიზაციებშიც იყო და არც საბავშვო ბაღი დაივიწყებია. იმ წელიწადს კარტოფილის მოსავალი მან 8 ჰექტარზე მოიყვანა.

დიახ, ფირმა „ნერგს" ბევრი კარგი აქვს გაკეთებული. მაგრამ წლეულს, 8 ივლისს, მას ისეთი სარმა გამოსდეთ, რომ წაქცევა გარდაუვალია. ხრიხალ [illegible] ალმაცერობისკენ მიმ[illegible], ერთადერთ ინდივიდ[illegible] არმეს, რომელმაც [illegible] აიდგა ფეხი. თქვე[illegible] წაშვულების ნაცვ[illegible] ყოფილეთ სარჩელი [illegible] ბათილად სცანით გამგეობასა და „ნერგს" შორის დადებული ხელშეკრულება. თან ძალიან მკაცრად მოექეცით „ნერგის" წარმომადგენელს. ისე გამოგივიდათ, ორ მოჩხუბართაგან ერთ-ერთს ხელებს რომ გაუკავებენ ხოლმე და მეორეს აცემინებენ. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლს რომ თავი დავანებოთ, რომელიც მხარეების თანაბარ უფლებებზე მიგვითითებს, ასეთი დამოკიდებულება მოპასუხის მიმართ არ არის ქართული ტრადიციებიდან გამომდინარე სამართლებრივი კულტურა.

დაბოლოს, თქვენთან საუბარი ბატონო მოსამართლევ, ნობელის პრემიის ლაურეატის, ფრიდმანის ცნობილი გამოთქმით უნდა დავამთავროთ — „ქვეყანა უნდა გადაარჩინოს მეწარმემ".

როლანდ ბასილაშვილი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ვიზიტად ბალტიის ქვეყნებში

მიმდინარეობს რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურის პაპის იოანე-პავლე მეორის ვიზიტი ბალტიისპირეთის ქვეყნებში. იგი უკვე შეხვდა ლიტვის პრეზიდენტს ბრაზაუსკასს და სამღვდელოების უმაღლეს წარმომადგენლებს. მორწმუნეთა წინაშე იგი გამოდიოდა ქადაგებით ლიტვურ, პოლონურ, ბელარუსულ, უკრაინულ და რუსულ ენებზე. მან მოუწოდა ყველა სადავო საკითხის გონივრულად, მოლაპარაკების გზით, ძალის გამოუყენებლად, კეთილი ნებით გადაწყვეტისაკენ. ლიტვიდან პაპი ლატვიასა და ესტონეთს ეწვია. ეს არის რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურის პირველი ვიზიტი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. პაპი მიიწვია აგრეთვე რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა.

შეხვედრა 6 საათი გაგრძელდა

კვირას დამასკოში 6 საათი გრძელდებოდა სირიის პრეზიდენტის ჰაფეზ ასადის მოლაპარაკება პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარე იასირ არაფატთან, რომელიც მოულოდნელად სირიის დედაქალაქში ჩავიდა. შეხვედრის შემდეგ გამოქვეყნებულ კომუნიკეში პრეზიდენტი ჰაფეზ ასადი მხარს უჭერს პალესტინის ხალხის ნება-სურვილს, რომელიც „მის ეროვნულ ინტერესებს პასუხობს". ეს არის პირველი ოფიციალური რეაქცია სირიელთა მხრიდან პალესტინა-ისრაელის შეთანხმებაზე ღაზის სექტორსა და ქალაქ იერიქონში შეზღუდული ავტონომიის შემოღების თაობაზე. ადგილობრივი პოლიტიკური მიმომხილველები კომუნიკეს აფასებენ, როგორც დამასკოს მხრივ „ფრთხილ მხარდაჭერას". ამ შეხვედრის წინ სირიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აკრიტიკებდნენ შეთანხმების პროექტს იმ საბაბით, რომ ყოვლისმომცველი მოწესრიგების ნაცვლად იგი სეპარატიული გარიგება იყო, რაც ძირს უთხრიდა არაბთა ერთიანობას ისრაელის სასარგებლოდ. შაბათს ისრაელ-პალესტინის დოკუმენტს მხარი დაუჭირა იორდანიის მეფე ჰუსეინმა. მან, როგორც სირიის პრეზიდენტმა ასადმა, ადრე შეშფოთება გამოთქვა პალესტინის ავტონომიის პროექტთან დაკავშირებით.

გადადგება უკრაინის პრემიერ-მინისტრი

უკრაინაში უკვე ეჭვი არავის ეპარება, რომ გადაწყვეტილია უკრაინის პრემიერ-მინისტრის ლეონიდ კუჩმას გადადგომის საკითხი, რაზედაც ესოდენ ბევრს ლაპარაკობენ უკანასკნელ ხანებში. უკრაინის ტელევიზიამ გამოაცხადა, რომ პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა თანხმობა მისცა მის გადადგომას ახლა სათანადო გადაწყვეტილება პარლამენტმა უნდა მიიღოს, რომლის შემდგომი სესია 21 სექტემბერს გაიმართება.

პალესტინელთა მომავლის პერსპექტივები

ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა შიმონ პერესმა განაცხადა, რომ პალესტინის სახელმწიფოს შექმნა „შეცდომა" იქნებოდა, რომ ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური მონაწილეების უველაზე უკეთესი ვარიანტი იორდანია-პალესტინის კონფედერაციის შექმნაა, რომელიც „სამუდამოდ დემილიტარიზებული დარჩება". მან ტელეკომპანია — სი-ბი-ესის პროგრამით გამოსვლისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ „არც ერთი ისრაელი არასოდეს არ შეურიგდება მტრული არმიის ყოფნას იერუსალიმის კარიბჭესთან". ყველა მიწა, რომლებიც ჩვენ შეგვიძლია დავთმოთ, დემილიტარიზებული უნდა იყოს". მინისტრმა დაადასტურა, რომ ისრაელი მზად არის პალესტინის ორგანიზაციასთან დადოს შეთანხმება ურთიერთცნობისა და არაბთა თვითმმართველობაში ღაზის სექტორისა და მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე ქალაქ იერიქონის გადაცემის შესახებ. პერესმა იმედი გამოთქვა, რომ ეს ავტონომია იქნება იორდანია-პალესტინის კონფედერაციის შექმნის პირველი ეტაპი. თავის მხრივ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარის თანაშემწემ ნაბილ შაატმა, რომელიც აგრეთვე გამოვიდა სი-ბი-ესის პროგრამით, განაცხადა, რომ ისრაელთან შეთანხმება მაუწყებელია „პალესტინის ხალხის სახელმწიფოებრიობის დაწყებისა". რომ პალესტინელები თვითონ გააკეთებენ არჩევანს მათი სახელმწიფოს იორდანიასთან კონფედერაციის სასარგებლოდ. „ჩვენ გვსურს, თვითგამორკვევა, აღნიშნა მან, არჩევანის უფლება. მივიღებთ რა ამ უფლებას, ჩვენ უპირატესობას მივანიჭებთ იორდანიასთან კონფედერაციის შექმნას". მან თქვა აგრეთვე, რომ შეთანხმების ხელმოწერა პალესტინის თვითმმართველობაში ღაზის სექტორისა და იერიქონის გადაცემის შესახებ ორ-სამ კვირაში იქნება ხელმოწერილი. რომ უახლოეს დღეებში მოხდება ისრაელსა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას შორის განცხადებების გაცვლა ურთიერთცნობის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა უორენ კრისტოფერმა კვირას, ტელეინტერვიუში, განაცხადა, რომ ვაშინგტონი აპირებს ყოვლმხრივ დაეხმაროს პალესტინა-ისრაელის შეთანხმების „რაც შეიძლება მალე დადებას". მან აღიარა, რომ გასულ კვირას ოსლოში (ნორვეგია) გამართული დიალოგი თელ-ავივსა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას შორის „ძალზე სასიამოვნო სიურპრიზი" იყო. სი-ბი-ესისთვის ინტერვიუში ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა შიმონ პერესმა განაცხადა, რომ არ გამორიცხავს უახლოეს დროში დროებითი შეთანხმების მიღწევას სირიისათვის ოკუპირებული გოლანის სიმაღლეების დაბრუნების თაობაზე. მისი სიტყვით „ამ საკითხში უთანხმოება მხარეებს შორის იმდენად უმნიშვნელოა, რომ შესაძლებელია მათი ნებისმიერ დღეს დაძლევა, თუმცა სირიელები განაგრძობენ ორაზროვნად ლაპარაკს, როცა საქმე კონკრეტულ გადაწყვეტილებებს ეხება".

ერთობლივი მანევრები სპარსეთის ყურეში

ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის სამხედრო საზღვაო ძალების საბრძოლო გემებმა სპარსეთის ყურეში ხუთდღიანი ერთობლივი მანევრები მოაწყვეს. ამგვარ მანევრებში სპარსეთის ყურეში პირველად მონაწილეობდა ამერიკის ბირთვული წყალქვეშა ნავი „პასადენა". მანევრები პარასკევს დამთავრდა. მასში მონაწილე მეზღვაურები გადიოდნენ წვრთნას პოტენციური მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავის აღმოსაჩენად და გასანადგურებლად. როგორც კვირას ამერიკული გაზეთი „ჰერალდ ტრიბიუნი" წერდა, ასეთი მოწინააღმდეგე, როგორც ჩანს, ირანია, რომლის განკარგულებაში ამჟამად ორი დიზელიანის წყალქვეშა ნავია იმ სამი წყალქვეშა ნავიდან, რომლებიც მან რუსეთში ექვსას მილიონ დოლარად შეიძინა. ირანის განკარგულებაში საკუთარი წყალქვეშა ნავების გამოჩენამ დიდი შეშფოთება გამოიწვია დასავლეთში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა მყისვე გაგზავნეს სპარსეთის ყურეში თავისი წყალქვეშა ნავები. კერძოდ, „პასადენა" იქ ჩავიდა მიმდინარე წლის ივლისის ბოლოს. ეს საბრძოლო გემი (6900 ტონა წყალწყვის) მწყობრში ჩადგა 1987 წლის სექტემბერში და აღჭურვილია „გარპუნის" რაკეტებით და „ტომაჰავკის" ფრთოსანი რაკეტებით, აგრეთვე „ტორპედოებით".

შეამცირებენ ფედერალური მოსამსახურების რიცხვს

პრეზიდენტ ბილ კლინტონის ადმინისტრაცია აპირებს შეამციროს ფედერალურ უწყებათა თანამშრომლების რიცხვი 252 ათასი კაცით და ამით (სახელმწიფო აპარატის მუშაობის „რაციონალიზაციით") შეუმციროს ხარჯები ამერიკის ხაზინას ხუთი წლის მანძილზე დაახლოებით 108 მილიარდი დოლარით. ამას წერდა კვირას გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი", რომელიც თეთრი სახლიდან მიღებულ წყაროებს იმოწმებს. შემცირების ეს რიცხვი ორჯერ და უფრო მეტად ჭარბობს იმ რაოდენობას, რომელსაც პირველი საარჩევნო გეგმა ითვალისწინებდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ფედერალური უწყებების თანამშრომელთა რიცხვი 12 პროცენტით შემცირდება და, პირველად 1966 წლის შემდეგ, ამერიკის სახელმწიფო აპარატში ორი მილიონი თანამშრომელი დარჩება.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

[illegible]

იბერიის

სოხუმი. აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების „გაერთიანებული კომისიის ქართული მხარის შტაბმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ამჟამად საინჟინრო-სასაპერო ქვედანაყოფები აწარმოებენ სამუშაოებს ტერიტორიის განაღმვად.

უკვე იყო შემთხვევები, როდესაც მხარეთა შეხების ხაზზე გადასვლის დროს ნაღმზე რამდენიმე მოქალაქე აფეთქდა. ამიტომ ქართული მხარის შტაბი მოსახლეობას სთხოვს, თავი შეიკავონ სამუშაოების დამთავრებამდე იმ რაიონებში გადაადგილებისაგან, სადაც სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდა.

ცხინვალი. სამაჩაბლოს ქართულმა მოსახლეობამ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ოთარ ფაცაციას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

„ბატონო პრემიერ-მინისტრო, გულითა და სულით გილოცავთ ამ საპასუხისმგებლო პოსტზე არჩევას. მეტად რთულ ვითარებაში მოგიხდათ ამ მძიმე უღლის გაწევა. ძნელია მოკლე დროში სიძნელეების დაძლევა, მაგრამ გვჯერა, რომ თქვენი საქმიანობის ერთ-ერთ პირველ ამოცანად დაისახავთ შიდა ქართლის პრობლემების გადაჭრას. ეს პრობლემები შემდეგია: ცხინვალის რეგიონში ქართული სტრუქტურების დამკვიდრება, ლტოლვილების დაბრუნება, დანგრეული მეურნეობის აღდგენა, საბინაო ფონდის მშენებლობა, ცხინვალში დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღება.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი“.

თბილისი. საქართველოს კულტურის სამინისტროს პრესცენტრიდან გვაცნობენ, რომ დღეს კაიროში გაემგზავრა სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად.

ორიოდე სიტყვით

განვლილ სამ დღეში, რაც მკითხველს არ შევხვედრივართ, ბევრი საყურადღებო მოვლენა მოხდა რესპუბლიკაში.

● **გუდაუთის** მხარემ უკვე მეორედ ჩაშალა ქართველ სამხედრო ტყვეთა გადმოცემის ვადები: ჯერ კიდევ 5 სექტემბერს 24 ტყვედან უნდა გაეთავისუფლებინათ 12 კაცი, მაგრამ დაპირება კვლავ არ შესრულდა. ამის გამო პროტესტის ნიშნად, გუდაუთაში ჩასულმა საქართველოს პარლამენტის წევრმა გია ბარამიძემ გადაწყვიტა არ დაბრუნდეს სოხუმში, მანამ, სანამ მათ არ გაათავისუფლებენ.

● **4 სექტემბერს** სცადეს დასავლეთ საქართველოში საომარი დაპირისპირების პროვოკაციულად გამოწვევა: მდინარე ცხენისწყალზე, სოფელ ლეხაინდრავოს ხიდზე, საქართველოს შეიარაღებული ძალების საგუშაგოს ხელყუმბარები ესროლეს, ორი თავდამსხმელიდან ერთი მოკლეს. ამას მოჰყვა ხიდის გაღმიდან საგუშაგოსთვის ლოთი ქობალიას შეიარაღებული ფორმირებების მიერ ძლიერი ცეცხლის დაშენა. სროლა ორ საათს გრძელდებოდა. მათთვის ცეცხლითვე არ უპასუხიათ.

● **1-7 სექტემბრის** ნომერში გაზეთმა „იბერია-სპექტრმა“ გამოაქვეყნა ლოთი ქობალიას ინტერვიუ, სადაც ნათქვამია, თითქოს ის და თავდაცვის მინისტრი გიორგი ყარყარაშვილი შეთანხმდნენ, რომ სამთავრობო ჯარები დატოვებდნენ სენაკს და მათ ადგილს დაიკავებდა ქობალიას დაქვემდებარებაში მყოფი სენაკის ბატალიონი. ამასთან დაკავშირებით, რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურმა გაავრცელა განცხადება, ყოველივე ეს სიყალბეაო. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ სენაკს დატოვებდნენ იქ შემოსული თავდაცვის სამინისტროს ფორმირებანი, რომელთაც უნდა უზრუნველეყოთ აფხაზეთიდან მომავალი ტექნიკის მშვიდობიანად გამოტარება სამეგრელოს რეგიონზე. რადგან ქობალიამ აღუთქვა ტექნიკის შეუფერხებლად გამოტარება, თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, მათ დატოვეს სენაკი. შეხვედრაზე სენაკში მდგომი შენაერთების გასვლის საკითხი არც დამდგარა და არც განხილულა.

● **4 სექტემბერს** გაზეთმა „რეზონანსმა“, საინფორმაციო სააგენტო „იბერიაზე“ დაყრდნობით გამოაქვეყნა განცხადება თავდაცვის სამინისტროს 23-ე ბრიგადის მეთაურის გენერალ გენო ადამიას, ბრიგადის სხვა მეთაურების, აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის დავით გულუას ხელმოწერით, რომელშიც ხელისუფლებას აფრთხილებენ, რომ მას არ მისცემენ „სამეგრელოს რეგიონის ხელახალი აოხრების უფლებას“. თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური აცხადებს, რომ ეს პროვოკაციული შინაარსის განცხადება ეკუთვნის არა ჩამოთვლილ ხელმომწერთ, არამედ ე. წ. ზვიადისტების პრესცენტრის ხელმძღვანელს ანა ჩაჩანიძეს, რომელმაც ის ტელეფონით გადასცა „იბერიას“.

საქინფორმის მასალების მიხედვით.

დამახსოვრების უნარი

ასჯერ აგიმაღლდებათ!

ამოუწურავია ადამიანის გონებრივი შესაძლებლობანი. ცალკეული ენთუზიასტები სულ უფრო მეტს მოითხოვენ ადამიანისაგან — ბუნების ამ საოცრებისაგან. კარგია ეს თუ ცუდი? თუკი არსებობს პრობლემა, ის მოითხოვს გადაწყვეტას, პასუხის გაცემას. ისმება კითხვა: შესაძლებელია, თუ არა ადამიანის მახსოვრობის უნარის მკვეთრი ამაღლება?

საზღვარგარეთ მუშაობის პერიოდში მოხდა ისე, რომ ერთმა შემთხვევამ მაიძულა, სრულიად განსხვავებული თვალით შემეხედა ჩვენში მოქმედი სწავლების პროცესისთვის. ჩამოვაყალიბე საკუთარი პედაგოგიური მეთოდი, რომლის ხშირად გამოყენება, ნებისმიერი საგნის შესწავლის პარალელურად, ათეულჯერ, ზოგჯერ კი ასეულჯერაც ამაღლებს დამახსოვრების უნარს.

აშკარა — დაუჯერებელი

მიღებული შედეგები დიდი და მოულოდნელი აღმოჩნდა. მკითხველის წინაშე ბოდიშს ვიხდი, რომ არ ვაწვდი 8 თვის მუშაობით მიღებულ შედეგებს, რადგან იგი ბევრისთვის იმდენად დაუჯერებელი იქნება, რომ მხოლოდ რეკლამირების სურვილს დამაბრალებს. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ჯგუფში ყველაზე „ჩამორჩენილებს“ წუთში 80-100 სიტყვის ფარგლებში შეუძლიათ უცხო ენაზე სიტყვების მიმდევრობის დაცვით დამახსოვრება.

მახსოვრობის ამაღლებისა და ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები წლეულს მეცადინეობას იწყებს 15 სექტემბრიდან; იმუშავებს 8-10 თვის განმავლობაში. შეიქმნება 4 ჯგუფი, სადაც გამოყენებული იქნება ერთ კანონზომიერებაზე დამყარებული განსხვავებული მეთოდები. სხვადასხვა ჯგუფში მიიღებიან მსმენელები 14-დან 60 წლის ასაკამდე.

ახალი სასწავლო წლისათვის გამოყენებულ იქნება მეთოდი, რომელიც საშუალებას მოგვცემს 10 თვის განმავლობაში ნებისმიერი სპეციალობის საგანი ინგლისურ ენაზე იმ დონეზე იქნეს ათვისებული, რომ მსმენელმა 6 თვის მეცადინეობის შემდეგ შეძლოს 2-3 საათიანი მოხსენების წაკითხვა ამ საგანში, 10-თვიანი კურსის გავლის შემდეგ კი მისი მეხსიერება იმდენად ამაღლდება, რომ ინგლისურ ენაზე ამ საგნის უცნობი ტექსტის ერთი გვერდის ჩვეულებრივი ტემპით წაკითხვით, სიტყვათა მიმდევრობის დაცვით, დაიმახსოვრებს წაკითხულის 60-70 პროცენტს, რისი გარანტიაც წერილობით მიეცემა თითოეულ მათგანს მეცადინეობის დაწყების წინ.

მაშ, ასე, თქვენ შესაძლებლობა გეძლევათ, უნიკალურობამდე აიმაღლოთ თქვენი მახსოვრობა, რაც თავის მხრივ, უზარმაზარი ინფორმაციის მიღება-დამახსოვრებისა და აღქმის საშუალებას იძლევა.

ჩვენი საკონტაქტო ტელეფონია: 37-05-47.

შარლ ჯანჯღავა.

უჩვენებს თბილისი

ეთერშია საქართველო

სამშაბათი

7 სექტემბერი

7.25 — **გამარჯობა, საქართველო!** — საინფორმაციო-შემეცნებითი პროგრამა. 9.00—ბასტი-ბუბუს აერობიკა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — საქართველოს ისტორია. 17.50 — ქართული ენა. 18.20 — განცხადებები. 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმები. 19.00 — სტუმრად მხატვართან — ე. გელაშვილი. 19.20 — ადამიანი და კანონი. — სატელევიზიო პროგრამა, 19.50 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 — **ფიქრები საქართველოზე.** 20.55 — დოკუმენტური ფილმი, 21.15 — სპორტული პროგრამა: 1. საქართველოს მეხუთე ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში; 2. „უმბრო“ საქართველოში. 21.55 — მსოფლიოს გამოჩენილი პიანისტი — გლენ გულდი, 22.25 — მხატვრული ფილმი „ორფეოსი“, 24.00 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

ოთხშაბათი

8 სექტემბერი

7.25. — **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 9.10 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 9.15 — ფრანგული ენა. 9.40 — გერმანული ენა. 10.10 — ინგლისური ენა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მულტიპლიკაციური ფილმი. 17.30 — მხატვრული ფილმი „ზოოპარკის სიზმრები“. 18.35 — განცხადებები. 18.40 — „ვაზის ცრემლების“ თავკაცი. 19.20 — მუსიკა ჩვენს ირგვლივ. 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 — მღერის ალეკო ზომერიკი. 21.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „ჩემი ცხოვრების მიზანი“. 22.00—**ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 22.30 — ვიდეო... ვიდეო... 24.00 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

ხუთშაბათი

9 სექტემბერი

7.25 — **გამარჯობა, საქართველო!** — საინფორმაციო-შემეცნებითი პროგრამა. 9.00 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — **მაცნე.** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — საქართველოს ისტორია. 17.50 — ქართული ენა. 18.20 — განცხადებები. 18.30 — მხატვრის სახელოსნოში. 19.05 — სტუდია „ალფა“ — ჩხვლეტა ქოლგით. 19.30 — მულტიპლიკაციური ფილმები. 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 — დოკუმენტური ფილმი. 20.55 — **საქართველო და გარესამყარო.** 21.35 — პრემიერა ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმისა „გერმანელები საქართველოში“ (საქართველოში გერმანიის კულტურის დღეებთან დაკავშირებით). 22.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ყვარყვარე“. 23.55 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

პარასკევი

10 სექტემბერი

7.25 — **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 9.00 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 16.55 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.05 — ფრანგული ენა. 17.30 — გერმანული ენა. 18.00 — **საქართველოს მეხუთე ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში.** 19.50 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 — **პოლიტიკა.** 21.00 — თუ მუსიკა გიყვართ... 22.00 — **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 22.30 — კინოჩვენება გერმანული მხატვრული ფილმისა „ჯადოსნური მთა“ (საქართველოში გერმანიის კულტურის დღეებთან დაკავშირებით). 23.45 — **ქვიშის საათი**— საინფორმაციო პროგრამა. 24.00 — კინოჩვენება გერმანული მხატვრული ფილმისა „ჯადოსნური მთა“ (გაგრძელება).

საქართველო-ლიხტენშტეინის ერთობლივი
საწარმო
„ციცერო-ლი“
გთავაზობთ
უმოკლეს ვადებში, ევროპული ხარისხით,
შეუდარებლად იაფად ყველანაირი სირთულის
შემდეგი სახის პროდუქციის დამზადებას:
1. მრგვალი ბეჭდები;
2. შტამპები;
3. სავიზიტო ბარათები და მიმართვის ბლანკები
ამობურცვის ტექნოლოგიით, რომელიც
ჯერჯერობით ერთადერთია საქართველოში.
ყველა ეს სამუშაობი სრულდება ავსტრიული
წარმოების მანქანა დანადგარებზე და მასალებზე.

მისამართი: ქ. თბილისი, ბროსეს ქ. 2 (ოპერის უკან,
ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკის შენობაში).
ტელეფონი: 93-12-41

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

ხელისუფლებას მხარში ამოუდგებიან

ომის ვეტერანები მხარში ამოუდგებიან რესპუბლიკის ხელისუფლებას, მის მთავრობას ერის ინტერესებისათვის ბრძოლაში, — ასეთი იყო საქართველოს მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა აზრი, რომელიც მათ თავიანთ სხდომაზე გამოთქვეს. მოხსენებაში საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარებისა და ომის ვეტერანთა ამოცანების შესახებ მომხსენებელმა კ. გარდაფხაძემ, სიტყვაში გამოსულმა ვეტერანებმა გ. ცისკარიშვილმა, კ. უკლებამ, ი. ცისკარიშვილმა, ა. გოლეთიანმა, შ. შელიამ, ნ. კალაძემ და სხვებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მოხდა უმნიშვნელოვანესი მოვლენები. ისინი არ შეიძლება არ აღელვებდეს თითოეულ ვეტერანს. აფხაზეთის კონფლიქტის შეწყვეტის შემდეგ საქართველოს ისევ გაუჩნდა მეორე საშინელება, ერის გათიშვისა. საჭიროა მშვიდობიანი გზით გადაიჭრას ამასთან დაკავშირებული ყოველგვარი პრობლემა.

— ჩვენ, — ამბობდნენ სხდომაზე გამოსულები, — მოვითხოვთ სახელმწიფო მეთაურისაგან, პარლამენტისაგან სრულად გამოიყენონ თავიანთი უფლება-მოვალეობანი, რათა შეწყდეს ქართველთა შორის უგუნური დაპირისპირება. ჩვენ არ უნდა შევურიგდეთ იმას, რომ საქართველო ისევ გაეხვიოს ძმათა დამაპირისპირებელ ომში. დღეს არ შეიძლება გულგრილად ვუყუროთ იმ ვითარებას, რომელიც შეიქმნა, ხელისუფლებისაგან მოვითხოვთ გადამჭრელი ღონისძიებების განხორციელებას.

საქართველოს ომის ვეტერანთა სხდომის მონაწილეებმა მიიღეს რესპუბლიკის ხელისუფლებისადმი მიმართვის პროექტი.

სიკეთე არ დაიკარგება

კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების თბილისის ფილიალი ოფიციალურად უკვე ორი წელია არსებობს. ეს საზოგადოება ჰუმანიტარული დახმარების აქციებს აწყობს და ამ კეთილშობილური მისიის წყალობით ბევრ შეჭირვებულ ადამიანს უმსუბუქებს ყოფა-ცხოვრებას.

ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება ამ საზოგადოების თბილისის ფილიალის წევრი გოჩა სოლაშვილი:

— ჩვენი საზოგადოება აფხაზეთში ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე შეუდგა საქველმოქმედო ჰუმანიტარული აქციის განხორციელებას. მაგალითად, სოხუმში, ყოველდღე 1500-2000 ულუფა საკვებს ვაცხობდით ხოლმე უფასოდ, რაც დღესაც გრძელდება. ასეთ აქციებს ვახორციელებთ თბილისშიც. საბურთალოს რაიონის გამგეობის თავმჯდომარე გივი რუხაძე გაგებით მოეკიდა ჩვენს წამოწყებას, მისი მოადგილის ლია კუპატაძის უშუალო დახმარებით და აქტიური მონაწილეობით ჩვენ დროებით გადმოგვეცა სამკერვალო გაერთიანება „ბახტრიონის“ სასადილო, სადაც უფასოდ ვკვებავთ საბურთალოს რაიონის ღარიბ-ღატაკ, უმწეო მოხუცებს. ჩვენი საზოგადოების წევრები ცდილობენ ყურადღება არ მოაკლდეთ ამ ადამიანებს.

ჩვენი საქმიანობა, ცხადია, უფრო ქმედითი იქნებოდა, თუ არა — კეთილ ადამიანთა შემოწირულობები. ამ მხრივ აღსანიშნავია საბურთალოს რაიონის გამგეობის სოციალური დახმარების განყოფილების გამგის ინეზა გაბონაშვილის, გაერთიანება „ბახტრიონის“ (დირექტორი ვენადი ზაქალაშვილი) მუშა-მოსამსახურეთა გულისხმიერება. თუ, ვთქვათ, ჩვენი საუბრის შემდეგ ვინმეს გაუჩნდება სურვილი, რომ ჩვენს საქმიანობას მხარი დაუჭიროს, შეუძლია თანხა გადმორიცხოს ჩვენს ანგარიშზე: №000606180 გლდანის ბინსოცბანკი, კოდის № 521619, ტელეფონი 62-33-26 „ვედური კულტურის ცენტრი“.

დღევანდელმა ჩვენმა ყოფამ უამრავ ადამიანს ლუკმაპურის შოვნის საშუალებაც კი მოუსპო. ჩვენი ვალია, როგორც შეგვიძლია შევეწიოთ ამ ადამიანებს.

ესაუბრა
არჩილ ცინცაძე.

ეს ჩვენი მწარე სინამდვილეა

ბოლნისის რაიონის საზაფხულო საძოვრებიდან ეგრეთ წოდებული კარამანლოს ტერიტორიიდან დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს სოფელ ქვემო ბოლნისის ორი მწყემსი რამაზ მამედოვი და იოლჩი ვეიშელი. მათთან ერთად გატაცებულია 53 მსხვილფეხა საქონელი. დადგენილია, რომ მწყემსები და საქონელი მიიყვანეს სომხეთის რესპუბლიკის სოფელ სარჩაპეტის ტერიტორიაზე.

ხორციელდება ღონისძიებები დამნაშავეთა ვინაობის დასადგენად.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს, რომ ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუა განახლებაში ოთხი შეიარაღებული ბოროტმოქმედი თავს დაესხა აგროფირმა „შუაგანახლების“ ჩაის ფაბრიკის მზა პროდუქციის საწყობის გამგეს თენგიზ ჯიბლაძეს. მას შეუკრეს ხელ-ფეხი, აუხვიეს თვალები და ავტომანქანით გაიტაცეს 1800 კილოგრამი დამზადებული ჩაი.

ჭადრაკი

გარი კასპაროვი თუ ანატოლი კარპოვი?

სათაურში გამოტანილი კითხვა ბუნებრივად გაისმოდა 1984 წლიდან თითქმის ცხრა წელიწადი. ჯერ გარი კასპაროვი ეცილებოდა ანატოლი კარპოვს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულში, მერე, როცა გარიმ საწადელს მიაღწია, კარპოვი თავგამოდებით იბრძოდა „ჭადრაკის მეფის“ დაკარგული გვირგვინის დასაბრუნებლად. ახლა, როცა კასპაროვს ტიტულის მოცილედ ინგლისელი ნაიჯელ შორტი ჰყავს, კვლავ ამოტივტივდა კითხვა: კასპაროვი თუ კარპოვი, მაგრამ უკვე სხვა კუთხიდან.

საქმე ისაა, რომ წლეულს გაზაფხულზე კასპაროვი და შორტი განუდგნენ ფიდე-ს (საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია). ისინი უკმაყოფილო დარჩნენ ფიდე-ს მესვეურთა მოქმედებით მათი მატჩის საპრიზო ფონდის საკითხში. კონფლიქტი თანდათან გაღრმავდა. დიდოსტატებმა განაცხადეს, რომ არ ითამაშებენ მატჩს ფიდე-ს ეგიდით. მისი გამმართველი იქნება ახალი საერთაშორისო ორგანიზაცია — პროფესიულ მოჭადრაკეთა ასოციაცია. საპასუხოდ ფიდე-ს პრეზიდენტმა ფლორენსიო კამპომანესმა (ფილიპინები) კასპაროვსა და შორტს ჩამოართვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და პრეტენდენტის უფლებები. ამასთან, მსოფლიო პირველობის მატჩის სათამაშოდ მიიწვია ანატოლი კარპოვი და იან ტიმანი, როგორც პრეტენდენტთა მატჩებში გამარჯვებულნი?! (ალბათ, საინტერესოა, გავიხსენოთ, რომ შორტმა პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში დაამარცხა კარპოვი, ფინალურში — ტიმანი). ფართო საზოგადოებრიობა ერთგვაროვნად როდი შეხვდა ამ ამბავს. კარპოვმა და ტიმანმა მიიღეს ფიდე-ს პრეზიდენტის წინადადება. აი, ასე გაიხლიჩა ჭადრაკის სამყარო. ახლა დღის წესრიგში დგას ორი მსოფლიო პირველობის მატჩი. ეს უპრეცედენტო მოვლენაა ჭადრაკის ისტორიაში.

მაშ, ასე: 6 სექტემბერს ამსტერდამში დაიწყო კარპოვ-ტიმანის მატჩი. თამაშდება 24 პარტია: პირველი 12 ჰოლანდიაში, მეორე 12 — სულთანათ ომანში. თუ მატჩი ყაიმით (12:12) დამთავრდა, მეტოქენი ორ დამატებით (თითოეულს ორპარტიან) მატჩს გამართავენ. თუ ესეც უშედეგოდ დასრულდა, მაშინ, ჩემპიონის ვინაობა კენჭისყრით გადაწყდება. შეხვედრის საპრიზო ფონდია 2 მილიონი დოლარი. კარპოვს სეკუნდანტობას გაუწევენ დიდოსტატები იგორ ზაიცევი და იური რაზუვაევი, ტიმანს — ვლასტიმილ ჰორტი.

კარპოვი (დაიბადა 1951 წ. 23.5) და ტიმანი (1951 წ. 14.12.) ძველი მეტოქენი არიან. ერთხელ მატჩიც ითამაშეს (6,5:2,5 კარპოვის სასარგებლოდ). საერთო ჯამით ანგარიშში უპირატესობა კარპოვის მხარეზეა. მიუხედავად ამისა, მათი ორთაბრძოლა საინტერესო უნდა იყოს.

კასპაროვ-შორტის მატჩი 7 სექტემბერს დაიწყო ლონდონში. აქაც 24 პარტია გათამაშდება, ოღონდ ყაიმის (12:12) შემთხვევაში კასპაროვი დარჩება მსოფლიო ჩემპიონად. შეხვედრის საპრიზო ფონდია 2 მილიონ 500 ათასი დოლარი (იგი გაზეთ „თაიმსის“ გამომცემლობამ დააწესა). კასპაროვის სეკუნდანტები არიან ზურაბ აზმაიფარაშვილი, ალექსანდრე ბელიავსკი და სერგეი მაკარიჩევი, შორტის — ლიუბომირ კავალეკი და ჯონათან სპილმენი.

ის რომ, მრავალ სპეციალისტს შორტი არ მიაჩნია ძლიერ მეტოქედ, ყველა კასპაროვს უწინასწარმეტყველებს გამარჯვებას. აქამდე ისინი 15-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. კასპაროვმა 6 პარტია მოიგო, შორტმა — ერთი; 8 პარტია ყაიმით დაამთავრეს.

კასპაროვი (1963 წ. 13.4.) შეუდარებელი მებრძოლია. მან ბევრჯერ დაამტკიცა, რომ დღეს ტოლი არა ჰყავს მსოფლიოში. მიუხედავად ამისა, ძალიან სერიოზულად მოეკიდა შორტთან შეხვედრას. მართალია, შორტი (1965 წ. 1.6.) თითქმის მისი კბილაა, მაგრამ ნაკლებად გამოცდილია უმაღლეს დონეზე ბრძოლაში. სამაგიეროდ, ბუნებით შეუპოვარი, გაუტეხელი ხასიათის ადამიანია. წარუმატებლობას სწრაფად ინელებს. ალბათ, ამიტომაც, ფხიზლობს კასპაროვი.

— ამ მატჩში ყველა პარტია უნდა გათამაშდეს, კასპაროვმა კიდეც რომ ადრე დააგროვოს გამარჯვებისთვის საკმარისი 12,5 ქულა. ასეთია პირობა. ამიტომ მატჩი ბოლომდე მიმზიდველი იქნება, — გვითხრა ზურაბ აზმაიფარაშვილმა.

ზურაბ აზმაიფარაშვილი უკვე მესამე იქნება „კასპაროვის გუნდში“ (ადრე, 1987, 1990 წლებში იყო). ამ ზაფხულს იგი ეხმარებოდა კასპაროვს მზადებაში. ლონდონში გამგზავრების წინ მასთან ორი საწვრთნელი პარტიაც ითამაშა (შედეგი ჯერ საიდუმლოა). რა თქმა უნდა, ზურაბი დარწმუნებულია, რომ გაიმარჯვებს კასპაროვი.

ერთი სიტყვით, ორი საინტერესო ორთაბრძოლის მოწმენი ვიქნებით. მაგრამ მერე როგორ იქნება, არავინ იცის. ორი მსოფლიო ჩემპიონობა კი არ შეიძლება. გამოსავალს ალბათ ცხოვრება გვიჩვენებს.

თენგიზ გიორგაძე,
საერთაშორისო არბიტრი.

ფეხბურთი

ფიფას პრეზიდენტმა, ბრაზილიელმა ჟოაო ავილანჟმა წერილი გაუგზავნა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციას, რათა მან დროზე განიხილოს სკანდალური ისტორია, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონისა და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელის მარსელის „ოლიმპიკის“ ირგვლივ შეიქმნა. თუ ეს საკითხი 23 სექტემბრამდე არ დადგინდება და პირადად არ ეცნობება ფიფას პრეზიდენტს, საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებს არ დაუშვებენ ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიოს XV ჩემპიონატის ფინალში. მანამდე კი მარსელის „ოლიმპიკი“ მონაწილეობს თავისი ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში. მან პორტუგალიელი თავდამსხმელი ფუტრე შეიძინა. მეექვსე ტურში „მარსელმა“ გასვლითი შეხვედრა „მონაკოსთან“ ფრედ — 0:0 დაასრულა და ხუთეულის მიღმა იმყოფება. პირველ ადგილზეა „ნანტი“.

პავლოდარში (უკრაინა) დასრულდა საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში 13 წლამდე ასაკის ნორჩ ფეხბურთელთა შორის, რომელშიც საქართველოს, უკრაინის, რუსეთის, ბელორუსიის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. ფინალში ჩვენმა ბიჭუნებმა (მწვრთნელი ვ. კოპალიანი) ანგარიშით 3:1 მოუგეს უკრაინელ თანატოლებს და პირველი ადგილი დაიკავეს. ასპარეზობის საუკეთესო ბომბარდირია თბილისელი ნიჟარაძე, ხოლო საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს ბოხოჩაძე.

ტალინში გაიმართა მსოფლიოს XV ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა ესტონეთისა და პორტუგალიის ნაკრებ გუნდებს შორის. ასპარეზობა ანგარიშით — 4:0 მოიგეს პორტუგალიელმა ფეხბურთელებმა.

ჩოგბურთი

ნიუ-იორკში გრძელდება ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში, რომელშიც მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენები მონაწილეობენ. მეორე წრეში ლეილა მესხმა ძალიან სწრაფად (1:6, 2:6) წააგო შვეიცარიაში გათხოვილ მ. მალეევა-ფრანიერესთან და მაყურებლებში გადაინაცვლა. მის მაგალითს მიბაძეს ს. ედბერგმა (შვეცია), ი. ლენდლმა (აშშ), ხორვატმა გ. ივანიშევიჩმა, ამერიკელმა ა. აგასიმ. ბელორუსმა ნ. ზვერევამ მოუგო ამერიკელ ზინა ჰარისონს. მესამე წრე გაიარა ა. ვოლკოვმაც, ამერიკელმა მ. ჩანგმა და სხვებმა. ლეილა მესხისა და ე. მანიუკოვას დუეტმა გაიმარჯვა პირველი წრის ქალთა წყვილების მატჩში.

ლოკოკინა ... წონით!
ფარმაკოლოგიური მიზნებისათვის
მოსახლეობისაგან ვიბარებთ
სხვადასხვა სიდიდის
ცოცხალ ლოკოკინებს.
1 კგ — 1 000 კუპონად.
თუ 100 კგ ან მეტი წონის
ლოკოკინას დააგროვებთ;
ფირმა თვითონ უზრუნველყოფს
მის ტრანსპორტირებას.
ცნობებისათვის დარეკეთ: 37-13-75.
მისამართი:
მიცკევიჩის ქ. № 20, I სადარბაზო, I სართული (სამხედრო კომისარიატის პირდაპირ).
სააგენტო

ვინც ვერ შეძლო ზაფხულის თვეებში დაესვენა,
ფირმა „ნიკე-ტურსი“ გაძლევთ შანსს,
მკაცრი და ცივი თბილისური ზამთრის წინ,
მოიკრიბოთ ძალები და დატკბეთ ცურვით იმ სიამოვნებით,
რაც თან ახლავს დასვენებას მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ კურორტ ანტალიაში ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე.
ნუ დაკარგავთ შესაძლებლობას დატკბეთ ხავერდოვანი სეზონის მომხიბვლელობით.
გასვლა 10 სექტემბერს.
ტელ. 23-00-59. 22-76-72.

საშუამავლო-კომერციული ფირმა «რენესანსი»
დაგეხმარებათ ინტერიერის კომფორტულად მოწყობაში, იმპორტული ავეჯის, რადიოტელეაპარატურის და სხვა საჭირო ნივთების შეძენა-გაყიდვაში.
ფირმა ეფექტური და უსაფრთხო მომსახურების გარანტიას იძლევა.
ჩვენი მისამართია: სულხან-საბას ქ. № 4.
ტელეფონი: 93-32-63. 23-38-33 (საღამოს).

FIRM ERKOTA
კავკასიის ბირჟა
საბროკერო ფირმა „ერკოტა“
დაგიცავთ თქვენს ინტერესებს „კავკასიის ბირჟის“ სასაქონლო და საფონდო ვაჭრობებზე.
მისამართი: საირმის ქ. XI კორპუსი
ტ. 38-85-17. 37-61-95.

Banque
სკბ „ვა-ბანკი“
მაღალი კურსით შეისყიდის ამერიკულ დოლარებს.
1 $ = 9000 კუპონი
ბანკი მუშაობს ყოველდღე შაბათ-კვირის ჩათვლით 10-დან 16 სთ-მდე
ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზ. 39ა მე-2 სართ.
ვაკის პარკის პირდაპირ
☎ 29-49-76
22-15-19

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო იუწყება, რომ გარდაიცვალა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი ფინანსთა მინისტრი

სარდიონ სოლომონის ძე ჯიჯიეიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოგიაშვილი.
მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-73-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშტარიას 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66484